გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№84 (1110) 27 – 28 ივლისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„ოთხი თვეა ბადრი პარტიაში არ ყოფილა...“

გვ. 4–5

„ნინოზე „სვეტსკად“ და გემოვნებით ქართულ პოლიტიკაში არავინ იცმევს!“ — გიგლა ბარამიძის თეზისები

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

„ფინანსურად გალალებულები არ ვართ!“

ლიტო გელოვანი

აბრევიატურაში დაკარგულები

გვ. 2

ის, რაც ცდებოდა წინა კვირაში

რატომ შეიწყალა პრეზიდენტმა ბობოხიძე არასამართლებრივად?

გვ. 3

თბილისის მერია სტიქიით დაზარალებულ 39-ე ოჯახს დაეხმარა

დენს პურისა და სხვა პროდუქტის გაძვირებაც მოჰყვება – ხელისუფლების „ცხელი“ შემოდგომა

გვ. 6

20/30-ის ექსპერტი: „ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და ისე იცხოვროს, როგორც მისი მოსახლეობა ცხოვრობს — შემცირებული პრემიებით, ჯიპებით და სამივლინებო ხარჯებით!“

თამარ სანიკიძე: „სახელმძღვანელოების არავითარი დეფიციტი არ შეიქმნება, რეზერვი საკმარისზე მეტი გვაქვს!“



ექსკლუზიური ინტერვიუ თამარ სანიკიძესთან

გვ. 8–9

უცხოეთში დასვენება ქართულ კურორტებზე ორჯერ იაფი ჯდება!

რა პრობლემებს აწყდებიან დამსვენებლები საოჯახო სასტუმროებში

გვ. 7

აბრევიატურაში დაკარგულები

დიტო გელოვანი

„ჩემი დედას ერთი ქალიშვილი ყვანდა, იმას კიდენ ბიჭი ყვანდა, მოკლედ რომ ვთქვათ, დიშვილი მყვანდა, — თქვა კაცმა, რომელიც გრამატიკას დიახაც რომ კარგად ვერ ფლობდა, — ჰოდაა, ცოლის მოყვანა დააგვიანა, არ მოყავს ცოლი. ეს ბიჭი ცოტა ხერხემალი გაღუნული ქონდა როცა ცოლი არა ქონდა, და როცა ცოლი უკვე ქონდა, ხერხემალი მაინც გაღუნული ქონდა. ჰოდა, ეს ცოლი ქორწილზე ვერაფერი შეამჩნია; ერთი დღე გავიდა, ვერაფერი შეამჩნია, ხუთი დღე, ათი დღე, ათი კვირა გავიდა, ვერაფერი შეამჩნია, ძალიან კარგი ბიჭი იყო, თვეში ხუთი-ექვსი დრაჰკანი გამოდიოდა. ჰოდა, ერთხელ ბანაობს რა, იმაში, აი... აი, იმაში, აი... ვაჰ, კასრს რა ქვიან“. „კასრი ჰქვია...“ „ჰო? ვა...“

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

იტყვიან ხოლმე რაღაცას და ატყდება ხორხოცი. მერე, აჩვენებენ ვიღაცას და, წავიდა გნიასი! ოკუპაცია ბორდერიზაციამ გადაფარა, ბორდერიზაცია — სუპერთასმა, სუპერთასი — შეწყალებამ, შეწყალება — მოწყალებამ (ტარიფები), მოწყალებას ოლიმპიადა ფარავს. ნაკვალევს წვიმა შლის და ბორდელიზაცია რჩება.

ორი დღე იბიარდით ვერთობოდით. ვერთობოდით, რა... გული გადავაყოლეთ და ეგ იყო. გულს ვერ უბრძანებ. არა, როგორ ვერ უბრძანებ, მაგრამ ბრძანება ერთია, შესრულება — მეორე. გული ისეთია, იქით უბრძანებს ვისაც გინდა იმას.

იმიტომაა, გულს რომ ვერ იტანენ, ცივ გონებას მოიხმობენ, მაგრამ ცივი გონება მე სასაფლაოზე ვიცი. იქ იმდენი ცივი გონებაა... ცივი გონებით განვსაჯე და ბოლოს მაინც გულს მივანიჭე უპირატესობა. გონება დახლზე დევს, გული — არა, გონება იყიდება, გული — არა, ტვინი ბერდება, გული — არა.

ჰოდა, ჯაჭვლიანის ნათქვამი — „ქალბატონ ეკა ხერხეულიძეს ჩემი ოჯახის დანგრევის მცდელობა ჰქონდა. მან ამ რამდენიმე თვის წინ ბრძანა, რომ პარლამენტის სესია იმიტომ ჩაიშალა, კვორუმი არ შედგა, სოსო ჯაჭვლიანი იბიარდზე იყოო. რატომ მაყენებთ შეურაცხყოფას, ქალბატონო ეკა? მე იბიარდზე ვერასოდეს ვერ ვიქნები – მე ერთგული მეუღლე ვარ. ეს თქვენი გუნდი დადიოდა ამ „იბიარდზე“ 10 წლის განმავლობაში. ეს „იბიარდობა“ ეტყობა ქვეყანას. ამიტომ ნაიბიარდები ქვეყნის გამოყვანა სტაგნაციიდან ძალიან ძნელია. ჩვენ ვეცდებით საღი აზრების იმპლემენტირება გავაკეთოთ“, — გულიდან მოდის და არა ტვინიდან.

ტვინში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკია, გულში — ოჯახის სიყვარული და ნაცების სიძულვილი და მინდა გითხრათ, რომ თუ ამ ქვეყანაში ოჯახის სიყვარული და ნაცების სიძულვილი არ იქნება, არ იქნება არც ევროპა, არც რეკონსტრუქცია და არც განვითარება. იქნებიან მხოლოდ ეროვნული ბანკი და ქადაგიძე ანუ შეძენილი ნამუსოდეფიციტის სინდრომი.

მე, მაგალითად, ბედმა გამიღიმა და ამ შვიდი თუ რვა წლის წინ სრულიად შემთხვევით გავიგე, რას ნიშნავს იბიარდი. მაგრამ ყველას ხომ არ უღიმის ბედი? უფრო სწორად, ბედი ყველას უღიმის, მთავარია, შეამჩნიო და დააფასო. იბიარდში არაფერი იყო სასაცილო, თუ ამას არ ჩავთვლით — „ჩვენ ვეცდებით, საღი აზრების იმპლემენტირება გავაკეთოთ“.

იმპლემენტირება... გონების ცივად დაძაბვით ვიხსენებ, რომ ეს სიტყვა დანერგვას ნიშნავს, გული კი, დაუძაბავად მეუბნება, რომ ჩანერგვა უფრო უნდა იყოს. დანერგილი, ამ ქვეყანაში, კარგი არაფერი გამიგია, ჩანერგილები — იცოცხლე! მარგველაშვილი — ავლაბრის რეზიდენციაში, ელისაშვილი — საკრებულოში, სააკაშვილი — ან უკვე ოდესაში, „ოცნება“ სავსეა ეგეთებით და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ერთი ჩანერგილი, გვარს არ დავასახელებ, აგერ გვყავს — მთაწმინდის პანთეონში.

„დღეს მე პირადად შემრცხვა ჩემი კოლეგის გამო და არ მრცხვენია ამის აღიარების“, — აღნიშნა მანანა კობახიძემ.

პირველად შერცხვა თუ, უბრალოდ, პირველად აღიარა? სამარცხვინო კიდევ ბევრია. კობახიძის აღიარებებს კიდევ მოვისმენთ, თუ აღიარებს, მაგრამ ვაღიაროთ: რაჭველი თუ გამამაძაღლდა, მტრისას!!! მიმიქარავს ვანელი და ხონელი!

გასულ კვირაში „ინ ქოლორ“ ან ცვეტში ხონი იყო. მარგველაშვილმა შეიწყალა ლევან ბობოხიძე. ზაზა მეუბნება, ლევანი ძმა არისო. ზაზა ჩემი ძმაა. ჩემი ძმის ძმა ჩემი ძმაა და ა.შ. მაგრამ ამ შემთხვევაში ძმის ძმობით უნდა შემოვიფარგლო, თორემ თუ გავაგრძელე, ჯერ კაკო ბობოხიძე გახდება ჩემი ძმა, მერე კი კაკო ბობოხიძის ძმები — გურამ დონაძე, ალისტრახო როხვაძე, მეგის ქარდავა, მასტერა, მაიმუნა...

ზაზას ბევრი ველაპარაკე და მგონი დავარწმუნე, რომ ლევან ბობოხიძე კი არ შეიწყალეს, არამედ შეიწყალეს კაკო ბობოხიძის ძმა, თორემ ლევან ბობოხიძეზე არანაკლებ კარგ ადამიანებს, უდანაშაულოებს, ძალიან ბევრს, ჯერ კიდევ ნარებზე სძინავთ, რადგან ისინი კაკო ბობოხიძის ძმები არ არიან, მათი კაიკაცობა კი თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ ნარზე წოლა ურჩევნიათ კაკო ბობოხიძის ძმობას და ზვიად ქორიძესთან კოლეგიალობას.

„შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძე არ საუბრობს დეტალებზე, რის გამოც

კომისიამ მსჯავრდებულ თეა სირაძის შეწყალებასთან დაკავშირებით უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო. როგორც ქორიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, მსჯავრდებულის პერსონალური ინფორმაციის დაცვა კომისიის წევრთა „ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია“, — ეს ინფორმაცია ძმობაში ერთგულმა სააგენტომ გაავრცელა.

საერთოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი არის სამართლიანობა. ზნეობა და სამართალი.

ჩვენში დარჩეს და, საქართველოში დანაშაულის სტატისტიკა, წესით, მინიმუმამდე უნდა იყოს შემცირებული და ასეც არის — ყველა ცდილობს, ზვიად ქორიძის შესაწყალებელი არ გახდეს. რაც შეეხება თეა სირაძის საკითხს, ოთხი თუ ხუთი ინდოელი ჰაერში რომ აბურთავა, ერთ რამეში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ — ამ ქალბატონს ინდოელების ნაცვლად ქართველები რომ ეცემა, კარგა ხნის შეწყალებული იქნებოდა, ანაც, საერთოდ, წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვებდნენ, ნაცემი ქართველები მართლმადიდებელი სასულიერო პირები რომ ყოფილიყვნენ.

„შეწყალების კომისია სამართალს არ აღასრულებს. ეს არ არის დიდი ჟიური. შეწყალების კომისია გადაწყვეტილებას იღებს შეწყალების თაობაზე და არა იმაზე, რომ აღასრულოს სამართალი. ჩვენი ყველა გადაწყვეტილება არის კომისიის წევრთა სერიოზული განსჯის, კამათის და ბჭობის შედეგი“, — ამ სიტყვების ავტორი არის შეწყალების კომისიის თავმჯდომარე.

უკვე ერთი კვირაა, ყველამ ვიცით, რომ იბიარდი არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, მაგრამ კიდევ მრავალი წელი გაივლის, სანამ მივხვდებით, რომ სამართალი, პირველ რიგში, სამართლიანობაა.

„ფოთმა ნანა ალექსანდრიას თასზე საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალს უმასპინძლა. დღეს ფესტივალი საზეიმო ვითარებაში დაიხურა. თასის მფლობელი სომეხი საერთაშორისო ოსტატი ბაჰე ბაგდასარინიანი გახდა. მეორე ადგილზე უკრაინელი დიდოსტატი ალექსანდრ ზუბოვი გავიდა, ხოლო მესამე საპრიზო ადგილს ქართველი საერთაშორისო დიდოსტატი უკა პაიჭაძე დასჯერდა“, — ეს სამართლიანობაა, უსამართლობა კი ის იყო, ნონა გაფრინდაშვილის სახელის ხსენება ლამის ოფიციალურად რომ იყო აკრძალული. ნანა ალექსანდრიას მაშინ ხმა არ ამოუღია ნონა გაფრინდაშვილის დასაცავად — ეს ფაქტია.

ფაქტი არის უკვე მომხდარი ამბავი. გასულ კვირაში ასეთი ამბავი მოხდა: „ფეხბურთში მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეთა ვინაობა ცნობილია. სანკტ-პეტერბურგში გამართულ წილისყრაზე მუნდიალის შესარჩევი ეტაპის ჯგუფები დაკომპლექტდა. დღესდღეობით საქართველოს ნაკრები ფიფას რეიტინგში 153-ეა. წილისყრისას ბოლო, მეექვსე კალათში იყო, ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად მოლდოვის, ირლანდიის, სერბეთის, ავსტრიისა და უელსის ეროვნული გუნდები შეხვდა“.

ანუ, მომხდარი ფაქტია წილისყრა, მომხდარი ფაქტია ჯგუფის შემადგენლობა, სამწუხაროდ, მომხდარი ფაქტია, რომ მუნდიალს რუსეთი უმასპინძლებს და სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ნაკრები ფიფას რეიტინგში 153-ე ადგილზე იმყოფება.

ეს ყველაფერი მართალია და ეგრეა, თუმცა, თუ ძმობაა ძმობა იყოს და, ჩემს მოძმე სააგენტოს მცირე შენიშვნა-შესწორებას არ დავზარდები: საქართველოს ეროვნული ნაკრების მეტოქეები სულაც არ არიან მოლდოვა, ავსტრია, ირლანდია, უელსი და სერბეთი. საქართველოს ნაკრების მეტოქეები არიან ზვიად სიჭინავა და რეზო არველაძე, აგრეთვე სპორტის პოლიტიკოსები, რომლებმაც არაფერი იციან და ბევრს ყვირიან, და სპორტული ჟურნალისტები, რომლებმაც ყველაფერი იციან, მაგრამ დუმილს ამჯობინებენ.

რაც მთავარია, საქართველოს ნაკრების მთავარი მეტოქე არის ბურთი, რომელიც არაფრით ემორჩილება ჩვენ ფეხბურთელებს.

ბურთი მრგვალია — ამით თუ დავიმშვიდებთ თავს და რადგან თავი დავიმშვიდეთ, დროა დავიწყოთ ფეხბურთი (ძნელი კია, მაგრამ ფეხბურთის ფედერაცია ცდილობს და ახერხებს) და გართობაზე ვიფიქროთ.

„ჰით ბათუმი 2015“ აქტიურ ფაზაში შედის! აქ ყოველდღე რაღაც ხდება! ბათუმი 16-19 ივლისს „ჰით ბათუმი 2015“-ის ფარგლებში იტალიელ ვარსკვლავებს მასპინძლობდა. ზღვისპირა ქალაქში სანრემოს დღეები უკვე დასრულდა, თუმცა „ჰით ბათუმი 2015“ გრძელდება... განუმეორებელმა უმბერტო ტოციმ და ჯგუფმა „რიკი ე პოვერი“ ბათუმის ახალ კორტებზე ცნობილი ჰიტები შეასრულეს. ამავე დღეს ბათუმის კორტების სცენის, „ჰით ბათუმის“ მთავარი საკონცერტო სივრცის პრეზენტაციაც გაიმართა. „ჩვენ სადაც გვეძახიან სამღერად ყველგან მივდივართ. ჩვენ ყველა მსმენელს პატივს ვცემთ, პოლიტიკური მისწრაფებები ჩვენთვის არ არსებობს, ჩვენთვის არსებობს მხოლოდ მუსიკა და მეტი არაფერი“, — ასეთი განცხადება გააკეთა ბათუმში მყოფმა იტალიური ჯგუფის „რიკი ე პოვერის“ სოლისტმა ფრანკო გატიმ. „ჩვენ მოგვაქვს მხიარულება და მუსიკა! ჩვენ მუსიკოსები ვართ და არა პოლიტიკოსები! ჩვენ მხოლოდ დადებითი რამ მოგვაქვს ხალხთან — ხალისი ყველასთვის“, — აღნიშნა „რიკი ე პოვერის“ სოლისტმა ანჯელა ბრამბატიმ. „მუსიკა უნივერსალური ენაა ურთიერთობებისთვის. ეს არის ის, რასაც ჩვენ ყველა ქვეყანაში ვაკეთებთ. ჩვენ ყველა ქვეყანაში ვმღერით, ამას დიდი სიამოვნებით ვაკეთებ“, — მიაჩნია „რიკი ე პოვერის“ სოლისტს ანჯელო სოტჯუს“.

დალიე დამამშვიდებელი და გაიზიარე მხიარულება.

დალიე დამამშვიდებელი — ხვალ ჯულიეტოვნა გაბუნია ბორბოტად გაიცინებს და გაიხსენებს, რომ „რიკი ე პოვერი“ ცხინვალში სეპარატისტების მიწვევით იყო ჩასული. გაიხსენებს და ისევ ბორბოტად გაიცინებს. მერე გამოვა ქალბატონი კობახიძე და ბოდიშს მოიხდის, მერე ბოდიშს მოიხდის ტურიზმის დეპარტამენტი, ბოდიშს მოიხდიან სხვებიც. იტყვიან, არ ვიცოდითო.

ეგრე, სოსო ჯაჭვლიანმაც არ იცოდა, რა არის იბიარდი და არც ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებმა იციან, რომ საკუთარ კართან არ უნდა იმატაო.

ხოლო ეს ნაცებმაც იციან. ეს ყველაზე კარგად ნაცებმა იციან:

„სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა” 12 მაისიდან 12 ივლისამდე განხორციელებული პროექტის ანგარიში წარადგინა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრიდან“ აცნობეს, ანგარიშის მიზანი იყო, რუსული კაპიტალის მოცულობის დადგენა საქართველოს ეკონომიკაში.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ რუსული კაპიტალი მეტწილად ოთხი მიმართულებით მიემართება ესენია: ელექტროენერგია; წყალმომარაგება; მადნეული; მინერალური წყლები. ამ ჩამონათვალიდან მნიშვნელოვნად ლიდერობს ელექტროენერგია, ხოლო წყალმომარაგების მიმართულებით, ინვესტიციების მოზიდვა განხორციელდა 2008 წლის ომის დასრულების შემდეგ.

მათივე ინფორმაციით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ობიექტთა უმრავლესობის გასხვისება განხორციელდა 2003-დან 2012 წლამდე ასევე მნიშვნელოვან საკითხს, წარმოადგენს, თუ რა ობიექტების გასხვისება განხორციელდა ამ პერიდოში: თბოსადგურ „მტკვარი ენერგეტიკას“ — 2003 წელი რუსული წილი 100%; „ხრამჰესი 1“, „ხრამჰესი 2“ – 2011 წელი რუსული წილი 100%; დარიალი ჰესი — 2011 წელს გაფორმებული მემორანდუმი; ლარსი ჰესი — 2011 წელს გაფორმებული მემომარანდუმი; შილდა ჰესი — 2012 წელს გაფორმებული მემორანდუმი; ჟინვალჰესი — მფლობელი „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, რომელმაც ფაქტობრივად არსებული მნიშვნელოვანი წყალსაცავების შესყიდვა მოახდინა 2008 წლის ომის შემდგომ.

ორგანიზაციის წევრების განცხადებით, კვლევის ფარგლებში გამოვლინდა მეტად საინტერესო ფაქტი, კერძოდ, საქართველო-რუსეთის 2008 წელს მომხდარი ომის შემდეგ საქართველოს მხარე, 2009 წელს რუსულ მხარესთან შეთანხმებით, გადაწყვეტილებას იღებს ენგურჰესის ერთობლივი მართვის შესახებ.

„უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება, რომ საქართველო 2003-2008 წლებში სტრატეგიულ ობიექტთა ნუსხას ამცირებს და მის რაოდენობას ხუთ ობიექტამდე განსაზღვრავს.

თუკი კარგად დავაკვირდებით კვლევის შედეგებს რუსული მხარე ფლობს იმ ობიექტთა უმრავლესობას, რომელიც საქართველოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარების თვალსაზრისით სტაბილურობის გარანტიებს წარმოადგენს, ხოლო მათი გასხვისება საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანასთან განხორციელდა, რაც უფრო მეტ კითხვას აჩენს, ვიდრე პასუხობს“, — აცხადებენ ორგანიზაციაში“.

რამხელა ნიუსი იყო და რა პატარა რეაქცია მოყვა. ბოდიშს ვიხდი, რეაქცია საერთოდ არ მოყოლია. არადა, რეაქცია ნამდვილად უნდა ყოფილიყო, ოღონდ არა ისეთი, წივილ-კივილით, ჩხავილით, ათთეთრიანი დენით, ხუთთეთრიანი გაზით და უფასო წყლით!

ესაა საქმე, თორემ იბიარდი არ იცისო — ამან უკვე ჩაიარა, როგორც იმან... ის თუ გახსოვთ, შარშან 9 აპრილს ნაცებმა სლოვაკეთის დროშა რომ დაწვეს და საფრანგეთის დროშის დაწვამდე ცოტა დააკლდათ!

არ გახსოვთ.

ის თუ გახსოვთ, როგორ იზეიმეს ტერიტორიების დაკარგვა?

„მთავარმა პროკურატურამ დაზარალებულ ოთხ მოქალაქეს უკანონოდ ჩამორთმეული ავტომობილები დაუბრუნა. როგორც პროკურორმა კოკა კაციტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, პროკურატურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად, დღეს დაზარალებულ მოქალაქეებს დაუბრუნდათ უკანონოდ ჩამორთმეული ავტომანქანები, რომლებიც მათ საკუთრებაში გადაეცათ“, — წავიკითხე და მახსოვს.

ის თუ ახსოვს პროკურატურას, დასაბრუნებელი ჯერ კიდევ ბევრი რომ არის?

იცის, მაგრამ არ ახსოვს.

გულში დატოვება ვიცი, თუმცა სადაც სამართალი სხვაა და სამართლიანობა — სხვა, იქ გული საინტერესო აღარ არის, თავში კი — ფეხია.

ჰ.ე. (ჰოდა ეჰ) „ჰოდა, მე ავიღე, პირდაპირ მივედი იმ ქალთან, ვეუბნები — რა აქს დასაწუნი ჩემი დედას შვილი და კიდევ იმისიც შვილი, ჩემი დიშვილი რაღა-მეთქი, საყვარელო შვილო-მეთქი, ქალი ხომ არ არის, მაგის სილამაზეს რომ დასდევ-მეთქი, მშვენიერი მოსიყვარულე ქმარია-მეთქი, სმითაც ბევრი არა სვამს-მეთქი, აბა ლოთი შაგხვედროდა-მეთქი, თვეში შვიდი-რვა დრაჰკანი გამოსდის-მეთქი და სხვა რა გინდა-მეთქი. ჰოდაა, ამ ქალსა მე ეს ყველაფერი რომ მეთქი, ისევ შაუყვარდათ ერთმანეთი, მაშ?! მთავარია, დროზედ უთხრა ადამიანს ყველაფერი“. „ეჰ, ვასკო ნამდვილი მამაკაცი იყო, — ამოიოხრა მამიდა არიადნამ, — ხერხემალიც სწორი ქონდა და ყველაფერი“.

(გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი“)

რატომ შეიწყალა პრეზიდენტმა ბობოხიძე არასამართლებრივად?

გიორგი იაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის მიერ, ხონის ყოფილი გამგებლისა და ნაციონალური მოძრაობის ხონის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, ლევან ბობოხიძის შეწყალებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ბობოხიძეს დანაშაული დაუმტკიცდა, სასამართლომ მას 3.6 წლით თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯა, მაგრამ გიორგი მარგველაშვილის გადაწყვეტილებით, ციხეში მხოლოდ 8 თვე გაატარა.



ლევან ბობოხიძემ, მისი ახლობლის, ნიკოლოზ კირთაძისთვის მატერიალური სარგებლის მისაღებად, დაგეგმა და ორგანიზება გაუკეთა ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და ყალბი დოკუმენტებით სამასალე და საშეშე მერქნის გაფლანგვას.

კერძოდ, 2010 წელს ლევან ბობოხიძის მიერ ორგანიზებული დანაშაულებრივი სქემის შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზურაბ ჯიბუხაიამ და გამგებლის მოადგილე ბესარიონ ჭელიძემ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამასალე და საშეშე მერქანი, რომელიც ხონის მუნიციპალიტეტის დადგენილების თანახმად სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის უნდა გადაეცათ, უსასყიდლოდ გადასცეს ნიკოლოზ კირთაძეს. ამ უკანასკნელმა კი მიღებული მერქანი ცალკეული მოქალაქეების სახელზე შედგენილი ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ჩააბარა ხის გადამამუშავებელ საამქროებს, რომელთა ხელმძღვანელებმა ლევან ბობოხიძის დავალებით, მიღებული მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა ნიკოლოზ კირთაძეს გადასცეს.

აღნიშნული ქმედებით გაიფლანგა ხონის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული20 420, 69 ლარის ქონება“, — სწორედ ამ ეპიზოდში გამტყუნდა ბობოხიძე, თორემ ის, რომ 2006-დან 2012 წლამდე, გამგეობის თანამშრომლებისგან ყოველთვიურად ხელფასის 10%-ს კრეფდა და იჯიბავდა, არ დაუმტკიცდა. არადა, ამაზე მთელი ხონი საუბრობს.

ყველაფერ ამაში საინტერესო კი თავად პრეზიდენტის მიდგომაა, რომელმაც თავის მიერვე მიღებულ კანონს გადააბიჯა...

გიორგი მარგველაშვილმა 2014 წლის 27 მარტს გამოსცა ბრძანებულება №120 რომლითაც, ახლებურად დაარეგულირა შეწყალების გამოყენების წესი.

ამ ბრძანებულების მეორე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად დადგენილია, რომ შეწყალება არ გამოიყენება იმ მსჯავრდებულის მიმართ რომელიც მსჯავრდებულია არაუმეტეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთით და მოხდილი არა აქვს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ერთი მესამედი. შეგახსენებთ, რომ გათავისუფლების მომენტში ლევან ბობოხიძეს მისჯილი 3 წელი და 6 თვიდან მოხდილი ჰქონდა მხოლოდ 8 თვე. ანუ ეს მუხლი დარღვეულია.

ამავე ნორმის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად შეწყალება ასევე არ გამოიყენება იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომლის საქმის განხილვა არ არის დასრულებული საქართველოს სამივე ინსტანციის საერთოსასამართლოში. ეს მუხლიც დარღვეულია, რადგან ლევან ბობოხიძის მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 27 აპრილის განაჩენი ბრალდების მხარის მიერ საუარესოდ შებრუნების მოთხოვნით 2015 წლის 19 მაისს გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. სადაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

დებულების 9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დადგენილია, რომ შეწყალების გამოყენების დროს მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებანი: აღიარებს თუ არა და ინანიებს თუ არა მსჯავრდებული ჩადენილ დანაშაულს, ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე ინფორმაცია.

ბობოხიძემ არათუ მოინანია, არამედ არასდროს, არც კი უღიარებია ჩადენილი დანაშაული, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მიყენებული ზიანიდან — 20 420 ლარი, ერთი თეთრიც კი არ არის ანაზღაურებული და ბოლოს, მას მსჯავრი დაედო განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის. შესაბამისად, ეს მუხლიც დარღვეულია.

შეწყალების აქტში არის გარკვეული შეუსაბამობები. როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მიერ განაჩენი გასაჩივრებულია უზენაეს სასამართლოში. ლევან ბობოხიძე გამართლდა ბრალდების ერთ ეპიზოდში კერძოდ საჯარო მოხელეებისაგან თანხების აკრეფის ნაწილში (სსკ-ს 180-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თ/ა 7-დან 10 წლამდე ვადით სასჯელს). არსებობს შანსი, რომ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, იგი კვლავ აყვანილი იქნას სასამართლო დარბაზიდან და საინტერესოა, ამ შემთხვევაში რას იზამს პრეზიდენტი?!

ფაქტი ერთია: პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც პირდაპირ არღვევს კანონს და საინტერესოა, წინა პრეზიდენტის მიერ დამკვიდრებული ტრადიცია, პრეზიდენტი ყოველთვის მართალია და პასუხს არაფერზე აგებს, ახლაც უნდა გაგრძელდეს? ვინ აგებს პასუხს დარღვევით განხორციელებულ შეწყალებაზე? რა ვიცი, მარგველაშვილი არ გვპირდებოდა კანონის უზენაესობას? იმ კანონისას, ახლა რომ დიდოელი ლეკის ნაბადივით გათელა...

თბილისის მერია სტიქიით დაზარალებულ 39-ვე ოჯახს დაეხმარა

გიორგი იაშვილი

13 ივნისს, სტიქიით დაზარალებულებს თბილისის მერია მაქსიმალურად ეხმარება და ეს იმის მიუხედავად, რომ მერიასა და ხელისუფლებას ოპოზიციური პარტიები უყურადღებობაში ადანაშაულებენ. პირიქით, თბილისის მერია იმაზე მეტს აკეთებს დაზარალებულთათვის, ვიდრე მოსალოდნელი იყო და ამას ის ოჯახებიც აღნიშნავენ, რომლებმაც დახმარებები უკვე მიიღეს.

დახმარების შეთავაზება მერიამ 5 ივლისიდან დაიწყო და დახმარებებს თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა ფულადი დახმარების გაცემის წესის საფუძველზე ახორციელებს.

სტიქიის შედეგად მდინარე ვერეს ხეობის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი აღდგენითი სამუშაოების ორგანიზების მიზნით შექმნილმა უწყებათაშორისმა კომისიამ განსაზღვრა ის არეალი, რომელშიც მოხვედრილ მოსახლეობას აღნიშნული წესი შეეხო. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან საწყის ეტაპზე შეთავაზება გაუკეთდა სვანიძის ქუჩისა და წყნეთის ხევში აღნიშნულ არეალში მოხვედრილ 39-ვე ოჯახს.

მოცემულ ეტაპზე შეთანხმება მიღწეულია 16 ოჯახთან, ჯამში 79 ადამიანთან, რომლებსაც მათთვის გახსნილ საგარანტიო ანგარიშებზე ჩაერიცხებათ 2 537 775 ლარი. 6 ოჯახზე თანხები უკვე გადაირიცხა და უახლოეს დღეებში საკომპენსაციო თანხას კიდევ 10 ოჯახი მიიღებს. დანარჩენ ოჯახებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებების პროცესი.

შეგახსენებთ, რომ 13-14 ივნისს სტიქიით დაზარალებულთათვის ზიანის ანაზღაურების წესი ზარალის ანაზღაურების ორ ვარიანტს ითვალისწინებს. დაზარალებულებს შესაძლებლობა ეძლევათ, თავად აირჩიონ, თუ რომელი შეთავაზებით სურთ ისარგებლონ. პირველი ვარიანტის მიხედვით, დაზარალებულ ოჯახს საწყის ეტაპზე მიეცემა სულადობის მიხედვით მისთვის განსაზღვრული ფართის საბაზრო ღირებულების ოდენობის თანხა, ხოლო მას შემდეგ, რაც დადასტურდება ოჯახის უძრავი ქონების განსახლების (განსაკუთრებული რისკის მატარებელ) ზონაში მოხვედრა, თბილისის მერია მის უძრავ ქონებას სტიქიამდე არსებული საბაზრო ღირებულებით სრულად გამოისყიდის, რაც გულისხმობს იმ სხვაობის გადახდას, რომელიც არსებობს ოჯახის საკუთრებაში ადრე არსებულ ქონებასა და მერიის მხრიდან პირველს ეტაპზე ოჯახისთვის გაცემულ თანხას შორის. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ოჯახისთვის მერიის მხრიდან პირველ ეტაპზე გაცემული თანხა აღემატება ოჯახის პირველადი ქონების საბაზრო ღირებულებას, დაზარალებულ ოჯახს რჩება მეტობით მიღებული თანხა. ზარალის ანაზღაურების წესის მეორე ვარიანტის მიხედვით, დაზარალებულ ოჯახს შეუძლია, პირდაპირ მიმართოს მუნიციპალიტეტს და თბილისის მერია მის უძრავ ქონებას საბაზრო ღირებულებით დაუყოვნებლივ გამოისყიდის.

გარდა ამისა, დაზარალებული ოჯახები მიიღებენ საკომპენსაციო თანხას ავეჯისა და ტექნიკის შესაძენად, რომელიც 8 000-დან 10 500 ლარამდე მერყეობს და განისაზღვრება სულადობის მიხედვით. კერძოდ, 1-2 წევრიანი ოჯახი 8 000 ლარს, 3-4 წევრიანი ოჯახი 8 700-ს, 5-6 წევრიანი ოჯახი 9400-ს, 7 და მეტ წევრიანი ოჯახი 10 500 ლარს მიიღებს.

სიმართლე გითხრათ, აღნიშნული დახმარება უპრეცედენტო გვგონია და ქართულ რეალობაში ასეთი სრულყოფილი პაკეტი არასდროს არავისთვის შეუთავაზებიათ.

„ფინანსურად გალაღებულები არ ვართ!“

ვანო პავლიაშვილი

...შეხვედრა აბულაძის ქუჩის 8 ნომერში დამითქვა და მხოლოდ ადგილზე მისული მივხვდი, რომ თავი დემოკრატიული მოძრაობის ოფისში ამოვყავი... ერთმანეთი, როგორც ძველ ნაცნობ-მეგობრებს სჩვევიათ, გულიანად მივიკითხ-მოვიკითხეთ და ვიდრე ყავას მოადუღებდა, გამახსენდა, 22 წლის ასაკში მეგობარს ნიძლავი რომ დაუდო, თბილისის ზღვა სიგრძეზე (11 კილომეტრი) გადაცურა და ვიდეომაგნიტოფონი მოიგო. სხვათა შორის, მაშინ თბილისში სულ ორი-სამი „პრისტავკა“ ყოფილა... მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღეს უმაღლესი დიპლომატიური რანგის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ნინო ბურჯანაძის პარტიის პოლიტიკური მდივანია...

„ნინოზე „სვეტსკად“ და გემოვნებით ქართულ პოლიტიკაში არავინ იცმევს!“ — ბურჯანაძის პარტიის პოლიტიკური მდივნის თეზისები

— გიგლა, ბურჯანაძის ოფისში შემომიტყუე, არა?

— კი, შემოგიტყუე...

— რატომ არ მითხარი, აქ რომ მეპატიჟებოდი?

— ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამას დამატებითი თქმა უნდოდა...

— მეგონა, ისევ ცალკე ოფისი გქონდა...

— ცალკე ოფისი მაშინ მქონდა, როცა ქალაქის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვიყავი, მაგრამ ოფისები დროებით დავხურეთ, რადგან ფინანსურად დიდად გალაღებულები არ ვართ...

— ვინ დაიჯერებს, რომ „დემოკრატიული მოძრაობა“ ფინანსურად არაა გალაღებული...

— (იღიმება) კარგად შეფუთული პიარიცაა და მითიც, რომ თითქოს დიდი ფინანსური რესურსები გვაქვს, მაგრამ მერწმუნე, ასე არაა, თუმცა რეგიონებში ოფისები ყველგან გვაქვს...

— ეს ოფისი ნაქირავებია თუ კერძო საკუთრებაა?

— დიდი ხანია, ნაქირავებია.

— რამდენს იხდით?

— მართალი გითხრა, ეს დეტალები არ ვიცი, არ დავინტერესებულვარ...

— ახლა პარტიაში რა თანამდებობა გიკავია?

— ერთ-ერთი ლიდერი და პოლიტიკური მდივანი ვარ.

— ესე იგი, რუსები თუ მოვლენ, „დოსტუპი“ მექნება...

— (იღიმება) რატომ, კაცო, რუსები? ეგებ, არავინ მოვიდეს ან ამერიკელები, ანგლოსაქსები ან ევროპელები მოდიან?!

— ..ნინო ბურჯანაძე ოფისშია?

— არა. რუსეთიდან ჩამოფრინდა, პრესკონფერენცია ჩაატარა და ამჟამად ევროპაშია, ხვალ ან ზეგ ჩამოვა.

— ევროპაში დასასვენებლადაა?

— არა, საქმიანი შეხვედრები აქვს.

— ვისთან?

— ეს ოფიციალური შეხვედრები არაა... საზოგადო მოღვაწეებსა და პოლიტიკურ წრეებს ხვდება, ვისთანაც პირადი კონტაქტები მრავალი წელია, აქვს და ამ შეხვედრებს გავაშუქებთ...

— ევროპაში ფულის საშოვნელად წავიდა?

— ფულის საშოვნელად სხვები დადიან... რუსეთში ძალიან საინტერესო კონფერენციაზე ვიყავით და ამას ფინანსებთან კავშირი აქ ჰქონდა. დაფინანსებას, რა თქმა უნდა, მწირს, ბიუჯეტიდან ვიღებთ.

— გიგლა, ყავა კი მინდა, მაგრამ რამე ხომ არ ჩამიყარე, უცებ რუსეთუმე არ გავხდე!..

— (გულიანად იცინის) არა, არა... რატომ რუსეთუმე? ჩვენ კლასიკური, ეროვნულ იდეებზე დაფუძნებული პოლიტიკური ძალა ვართ. ილია ჭავჭავაძე და სხვები რუსეთუმეები იყვნენ, კაცო?

— არა, ილია რუსეთუმე ნამდვილად არ ყოფილა და ღიად ამბობდა, რომ საქართველოს ხსნა დასავლეთია!.. გიგლა, ჩემი მასპინძლობისთვის არ დაგსჯიან?

— ქართულ პოლიტიკაში ქალბატონი ნინოს მსგავსი დემოკრატი, კლასიკური გაგებით, შეიძლება, არავინაა: საქმიან ურთიერთობებს პირადი დამოკიდებულებით არ აგებს. ასე რომ, ვინმესთან შეხვედრა-არშეხვედრაზე ლაპარაკი არაა ხოლმე... ვანო, ბუნებრივია, შენი მასშტაბები და ჟურნალისტური ხრიკები ვიცი, ამიტომ ყველა საკითხზე ვილაპარაკებ, მაგრამ როგორც ადამიანი, რომელიც პარტიას გვიან შეუერთდა, ასევე მრავალი თაობით თბილისელი და დიპლომატი, ჩემს ხედვებსაც გეტყვი. საერთოდ, ჩემში მეხოტბეობა არ ზის.

— ოპოზიციონერი ნინო ბურჯანაძე მოსკოვში რუსულ სამთავრობო ელიტას ხვდება და ვიზებსა თუ ბაზარზე ლაპარაკობს. კრემლისტები კი, საპასუხოდ ამბობენ, ნინო ყველაზე პროქართველი პოლიტიკოსია და ყველაფერი კარგად იქნებაო. ბურჯანაძემ, რომელსაც ე.წ. სახელმწიფო ბერკეტები არ აქვს, ურთიერთობა როგორ უნდა დაალაგოს?

— ჩემი ხედვა ასეთია: ბურჯანაძის პოლიტიკური ბეგრაუნდი ორჯერ დიდია, ვიდრე — თბილისში დარჩენილი პოლიტიკოსებისა: ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ორგზის პარლამენტის თავმჯდომარე იყო...

— მიშას ორგზის „გამპრავებელი“...

— დეპუტატი, კომიტეტის თავმჯდომარე და... წლების განმავლობაში ნაცნობობის დიდი ბაზა მხოლოდ რუსეთში არ დაუგროვდა — მომსწრე ვარ, ამერიკელ კონგრესმენებსა და სენატორებს ტელეფონით როგორ თავისუფლად, შენობით ელაპარაკება და ბოლო დროს, რამდენჯერმე აშშ-შიც მიიპატიჟეს. მოსკოვში კი საერთაშორისო სიმპოზიუმზე — „21-ე საუკუნის გამოწვევები — რეგიონული საფრთხეები“ ისე მიიწვიეს, როგორც პარლამენტსგარეშე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და მრავალრიცხოვანი ოპოზიციური პარტიის ლიდერი, რომელსაც რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან წლებია, სერიოზული ურთიერთობა აქვს.

— საპრეზიდენტო არჩევნებში 10 პროცენტი აიღო და ესაა ყველაზე მრავალრიცხოვანი ოპოზიციური პარტიის ლიდერობა?

— პარლამენტსგარეშე ოპოზიციაზე ვლაპარაკობ, თუმცა მაშინ ქალაქის საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე ვიყავი და ვიცი, „ქართული ოცნება“ დღევანდელ პრეზიდენტს ყურით როგორ დაატარებდა და როგორ დანიშნა...

— შეიძლება, მაგრამ მაგალითად, ჩემ გარშემო შენი პოლიტიკური ლიდერისთვის ხმა არავის მიუცია...

— ვერა-ვაკეში, ნაძალადევსა და დიდუბეში, საერთოდ, ათივე რაიონში, ამომრჩევლის ძალიან დიდი პროცენტი ხმას ნინო ბურჯანაძეს აძლევდა.

— საიდან იცი?

— ასე გიპასუხებ: ამა თუ იმ რაიონში, როცა შეხვედრაზე ბაქრაძე მოდიოდა, 150 ადამიანზე მეტს ვერ კრეფდნენ, მარგველაშვილთან, მაქსიმუმ, 400 ადამიანი იყო ხოლმე, ესეც მთელი ადმინისტრაციული რესურსით ჩართვით. ჩვენ შეხვედრაზე კი 800-1000-ზე ნაკლები ამომრჩეველი არ ყოფილა. ხალხს ძალით ხომ ვერ გამოვიყვანდით?!

— ფულს მისცემდით და გამოიყვანდით!

— სად იყო ფული? ფული „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალებმა მოიკითხონ, მილიარდები რომ ჰქონდათ და აქვთ.

ვიმეორებ: ნინო ბურჯანაძე მოსკოვში ისე იყო მიწვეული, როგორც ყველაზე მაღალრეიტინგული ოპოზიციური პარტიის ლიდერი და ეს შეხვედრა, წმინდა პოლიტიკური საკითხების გარდა, მაღალი რანგის თანამდებობის პირებსა და მედიასთან ურთიერთობისთვისაც გამოვიყენეთ — ჩვენი, უფრო სწორად, საქართველოს მოსახლეობის აზრი კიდევ ერთხელ დავაფიქსირეთ.

— საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ნატო უნდა!

— აქამდე მივალ... სიმპოზიუმზე ქალბატონი ნინოსგან ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ იმ ქვეყანაში ვიმყოფები, რომელთანაც ამ კუთხით პრობლემები გვაქვს, ჩვენი უპირველესი მოთხოვნა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. იმედია, რუსეთი არ ჩაერევა და ოსებსა და აფხაზებთან პირდაპირი კავშირის დამყარების საშუალება გვექნებაო. ჩვენმა მედიამ არ გააშუქა, არადა, კიდევ ერთხელ გახმაურდა, რომ დიახ, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ქართველების ეთნოწმენდა ჩატარდა.

— აი, ნაღმამდეც მივედით: სწორედ რუსეთს უნდა, რომ ოსებსა და აფხაზებთან პირდაპირი მოლაპარაკება გვქონდეს და მერე, თქვას, თქვენ ვერ რიგდებით და მე რა შუაში ვარო?! გიგლა, მართლა გჯერა, რომ სოხუმი აფხაზებმა წაგვართვეს, ცხინვალი კი — ოსებმა?

— რა თქმა უნდა, არა!

— აბა, პირდაპირ რაზე უნდა დაველაპარაკოთ, მით უმეტეს, როცა სამაჩაბლოსა და აფხაზეთშიც მაღალ თანამდებობებზე რუსი სამხედროები არიან?

— ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს ერთადერთი ფორმატი იყოს. საკითხი ასეა დასმული: მოგვეცეს საშუალება, კონტაქტზე თქვენი სუბიექტური ჩარევის გარეშე ვიყოთო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, გლობალური საკითხები, ერთის მხრივ, რუსეთის ხელისუფლებასთან საუბრით და, მეორეს მხრივ, ქართველ ხელისუფალთა ჩართვით არ გადაწყდეს. გამოჩნდა საოცარი დეტალი: არ ვიცი, რამდენად შეიძლება დავუჯეროთ, მაგრამ იქაური ელიტა ქართულ ხელისუფლებასთან საუბრისთვის მზადაა და თუ მოსკოვში ვერ ჩავლენ, შეხვედრა მესამე რანგის ტერიტორიაზე გაიმართოს ან მაღალი რანგის შეხვედრებისთვის თბილისშიც კი ჩამოვიდეს. ნაციონალურ ხელისუფლებაზე აღარ ვსაუბრობ, მაგრამ ახალ ხელისუფლებას ამ კუთხით თითი-თითზე არ აქვს დაკარებული.

— რა ვიცი, იმ ბიჭმა, მელიამ რომ უჩქმიტა, მგონი, განათლების მინისტრის მრჩეველია, „რეაქციაში“ თქვა, ბურჯანაძის მოსკოვური ვიზიტი ხელისუფლებას ეხმარებაო...

— ამ „ჩქმეტანა“ ბიჭმა ისეთი კომენტარი გააკეთა, რომ მის პოლიტიკურ ანალიზზე კომენტარს ვერ გავაკეთებ... ხელისუფლება ნინო ბურჯანაძის მიერ მოსკოვიდან წამოღებულ საკითხებს გაურბის და დღემდე კონტაქტზე არ გამოვიდა — თანაშემწის საშუალებით, ღარიბაშვილს არაერთხელ შევუთვალეთ, შე დალოცვილო, პოლიტიკური ქულები არ გვინდა, შეგვხვდი და გეტყვით, რა დაგვაბარეს და რისი სურვილი აქვთო, მაგრამ ხელისუფლება ამისთვის ფსიქოლოგიურად, მორალურად, პროფესიულად და საზოგადოებრივად მზად არაა, რაც მთავარია, ჩვენთან ურთიერთობა დასანახად არ უნდა, რადგან ნინო ბურჯანაძესა და ჩვენს პოლიტიკურ ძალას სერიოზულ მეტოქედ განიხილავს.

— გიგლა, რამე მოხდა და არ ვიცი?

— ამქვეყნად რამე არის, რაც შენ არ იცი?

— ბურჯანაძე უკვე ხელისუფლებაშია და გამომრჩა?

— არა.

— აბა, გამაგებინე, ბურჯანაძე რუსეთის ხელისუფლებას რა სტატუსით ელაპარაკება?

— ოპოზიციონერისა და ძალიან მაღალი რანგის პოლიტიკოსის სტატუსით, რომელიც საკითხებს აყენებს და ამბობს, რომ ყველაფერი ხელისუფლების გადასაწყვეტია. ამავე დროს თქვა, როცა ხელისუფლებაში მოვალ, ამ საკითხებს ოფიციალურ დონეზე დავაყენებ, ახლა კი მხოლოდ ოპოზიციონერის დონეზე ვაყენებო, მაგრამ საოცარია: ამან გარკვეული შედეგი გამოიღო — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესა და დუმის თავმჯდომარე ნარიშკინთან შეხვედრაზე ვიზების გამარტივებისა და პროდუქციის ჩამონათვალის გაზრდის საკითხი დადგა. იმავე დღეს, არ ვიცი, დასანახად გაკეთდა თუ არა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ განკარგულება გასცა, ამ საკითხებზე მუშაობა დაიწყო და ეს ჩვენმა ხელისუფლებამაც აღიარა.

— გიგლა, ჩემო კეთილო ადამიანი, მეც მაგას ვამბობ, რომ რუსეთის ხელისუფლება ბურჯანაძეზე „მუშაობს“. ისე, თუკი პროდუქტია პრობლემა, ბოლოს და ბოლოს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გავაფორმეთ და, რა, რუსეთს ევროპაზე დიდი ბაზარი აქვს?

— არა, მაგრამ ევროპაზე რომ გახვიდე, იმ დონის წარმოება უნდა გქონდეს და ვიდრე იქამდე გახვალ, დაიღუპები.

— ჰოდა, გონიერმა პოლიტიკოსმა ხელი ბიზნესის განვითარებასა და წარმოების დახვეწას უნდა შეუწყოს... რა ამის პასუხია და, სუფთა ევროპელი ტიპი ხარ — ევროპულადაც გაცვია და ამ პარტიაში რა გინდა, ვერ ვხსნი!

— ვანო, თუ საქმე ჩაცმაზე მიდგა, ნინოზე „სვეტსკად“ და გემოვნებით ქართულ პოლიტიკაში არავინ იცმევს!

— ეს შენი შეფასებაა მე კი ძალიან მომწონს, მაგალითად, მაკა ჩაჩუას სტილი...

— მაკა ჩაჩუას პოლიტიკოსად ნუ აღიქვამ. ქართველი პოლიტიკოსი ქალები არიან ბესელია, კობახიძე, მაია ფანჯიკიძე...

— თინა ხიდაშელის სტილს რა უწუნებ?

— დავაყენოთ ესენი და ქალბატონი ნინო — შედარება ასი

ერთთან იქნება, ნინო ბურჯანაძის სასარგებლოდ და ამას ძალიან ცნობილი თბილისელი ქალბატონებიც აღიარებენ, რომელთაც ჩაცმის „გემო“ იციან და პარიზში ყიდულობენ...

— პარიზში ყიდვა გემოვნებას არ ნიშნავს!

— (იცინის) რაც შეეხება ევროპას, ჩვენს პროგრამაში წერია, რომ მხარს ევროპასთან ინტეგრაციას ვუჭერთ. თუ ისტორიითაც ღრმად წავალთ, საქართველო ყოველთვის ევროპა იყო, ამიტომ ნურავინ გვამუნათებს, რომ ველურები ვართ. უბრალოდ, ინსტიტუციონალური წყვეტა მოხდა.

— და ეს წყვეტა რუსეთის კისერზეა.

— არა, მონღოლ-თათრებიდან დაიწყო.

— საქართველოში მეფობა რუსეთმა გააუქმა!

— რუსეთს ხომ არ ვამართლებ, მაგრამ როცა ასოცირების ხელშეკრულების წევრი შალახოს ქვეშ გავხდით — ესეც საოცარი იყო, ისეთივე ანეკდოტი, როგორც ერთ-ერთ სამინისტროში გერმანიის დროშის თავდაყირა დაკიდება...

— კი ბატონო, ეს ძალიან ცუდია!

— პროტოკოლის უცოდინრობა და გამოუცდელობაა და როგორც ქართველ კაცს, გული მტკივა, თორემ ისე არ ვლაპარაკობ, როგორც ოპოზიციონერი... ევროპაში ჩვენი პროდუქცია რომ გავიდეს, ეტაპებია გასავლელი, აქეთკენ მივდივართ, მაგრამ თუ პროდუქტი ევროპაში იმ რაოდენობით არ გავიტანეთ, რატომ უნდა დალპეს და ყოფილი დსთ-ს ქვეყნებისა და, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის უდიდესი ბაზარი რატომ არ უნდა გამოვიყენოთ, რომელსაც თვითონ ევროპელები და ამერიკელები უმაღლეს დონეზე იყენებენ?! რა არის იმაში ცუდი, რომ ეს საკითხი ჩვენი პოლიტიკური ლიდერის მხრიდან დადგა?!

— ქართული ანდაზაა, არამკითხე მოამბეო...

— საკითხი დააყენა, ნიადაგი მოამზადა და ახლა ხელისუფლებამ გადაწყვიტოს. ვანო, ამ შეხვედრაზე პირდაპირ ითქვა, ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის ლიდერი ჩამოხვედით, მაგრამ ჩვენ საუბარი ხელისუფლებასთან გვინდაო. ჩვენი აღმასრულებელი ხელისუფლების პირველმა პირმა კი ბაქოში, ძალიან საინტერესო ევროპულ ტურნეზე, თვალი მოჰკრა, ერთ სუფრასთან პუტინი და სხვები რომ ისხდნენ და ზურგი მიუშვირა. შე დალოცვილო, ყველა მომენტი გამოიყენე. პოლიტიკა ხომ მომენტების გამოყენების ხელოვნებაა! აბაშიძე-კარასინის ფორმატი საკმარისი არაა და იქნებ, დონე ამაღლდეს. ეს საკითხები ქალბატონმა ბურჯანაძემ ჩამოიტანა და შესთავაზა, განიხილეთ, ან მე გამომიყენეთ, არ ვმალავ, გარკვეული ურთიერთობა და კონტაქტი მაქვს, თუ არადა, ჩემს გარეშე გააკეთეთო და ამაში გაუგებარი რა არის?

— გიგლა, ხომ არ ნერვიულობ?

— არა, ბიჭო, ემოციური კაცი ვარ და ასეთი საუბარი მიყვარს...

— რამდენი წლის ხარ?

— ბიბლიური წლის ვარ — 54-ის.

— ანუ, „იბიარდზე“ ნამყოფი ხარ?

— (იცინის) „იბიარდზე“ ნამყოფი ვარ...

— ესე იგი, რუს ქალებში ფული გადაგიხდია?

— რასპუტინები არ ვართ... სტუდენტობის ჟამს, როგორიც ყველა, ჩვენც ისეთები ვიყავით. რუსეთში დავდიოდით, გარშემო ლამაზი გოგონები იყვნენ და ამაში საძრახისი რა არის?!

რუსეთთან ურთიერთობა იმიტომ კი არ გვინდა, რომ მოგვწონს, არამედ, საჭიროა იმიტომ, რომ ვერც აშშ და ვერც ევროპული ქვეყნები, თუკი რუსეთთან მოლაპარაკება არ დაიწყო, საკითხებს ვერ მოგვიგვარებენ და ამის დასტური ისიცაა, რომ ახლახან, ნატო-მ ჩვენი უსუფაშვილი დანაბარებით გამოისტუმრა, არც კი გაბედოთ კარასინი-აბაშიძის ფორმატის შეწყვეტა, რადგან არ მინდა, ამით რუსეთთან ურთიერთობა დავძაბოო ანუ პირდაპირ გვეუბნება, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გამო არ ვიომებო.

— გასაგებია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, საქართველოში რუსები შემოვიყვანოთ!

— არავითარ შემთხვევაში, გამორიცხულია!

— გიგლა, მარტივად მიპასუხე: ნინო ბურჯანაძის პარტიის პოლიტიკური მდივანი რუსეთს ოკუპანტად თვლის თუ არა?

— რა თქმა უნდა, ოღონდ სააკაშვილის ხელშეწყობით.

— რუსეთმა საქართველო 200 წლის წინ დაიპყრო! მოკლედ, ვთანხმდებით, რომ რუსეთი ცუდია, არა?

— რუსეთი ცუდი არ არის, უზარმაზარი ცივილიზაციის ქვეყანაა და ცუდი რატომ უნდა იყოს, მაგრამ...

— ახლა, პუშკინსა და ლერმონტოვზე არ გელაპარაკები...

— მაშინ ასე ვთქვათ: რუსეთი არის ქვეყანა, რომლის ჯარებიც ჩვენთან ჩვენი ნების გარეშე დგას, მას ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული და, ცუდია თუ კარგი, ის ხომ არ ვარ, ერთი გაჭირვებული მინისტრი რომაა...

— გაჭირვებულ მინისტრზე გამახსენდა: პუტინი მტერია?

— სწორად დასმული კითხვა არაა. არ მინდა, პრიმიტიულად ვუპასუხო, რომ ქვეყნის მტერი ერთი კაცია. რუსეთის ის ხელისუფლება, რომელმაც მიწები წაგვართვა, მტერი გამოდის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასთან უნდა ვისაუბროთ...

— ნინო ბურჯანაძემ კრემლში ერთხელ თუ მაინც დასვა კითხვა: რატომ აღიარა რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა?

— ეს კითხვა, ტრადიციულად, ისმის და, ახლაც რომ ჩავიდა, თქვა, როცა 21-ე საუკუნის გამოწვევებსა და მშვიდობაზეა ლაპარაკი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე, კავკასიაში მშვიდობა ვერ დამყარდებაო.

— მოსკოვში წასვლას გეგმავ?

— სექტემბერ-ოქტომბერში, თუ საჭიროება იქნება, შეიძლება, წასვლა მოგვიწიოს...

— საჭიროება ფულის შოვნას ნიშნავს?

— არა. ბიუჯეტიდან ვფინანსდებით და კერძო დამფინანსებლებიც თუ გამოჩნდებიან, ესაა და ეს.

— ჰოდა, თუკი მოსკოვში წახვალ, ზემოხსენებულ კითხვას ჩემეული ფორმულირებით დასვამ?

— კი, ამასაც ვიტყვი, მაგრამ ისიც გაითვალისწინე: პოლიტიკაში ერთი და იგივე საკითხი შეიძლება, მყიფედაც დასვა და რბილადაც, რბილად დასმა საშუალებას გაძლევს, დიალოგი გაგრძელდეს...

— გიგლა, შინ რომ შემოგივარდე, რბილად მეტყვი, თუ შეიძლება, მიბრძანდიო?

— არა, არა... კი ბატონო, მუშტი ვურტყათ, მაგრამ შეიძლება, საუბარი აღარ გაგრძელდეს... შეიძლება, არ შევაგინო და თავში არ ჩავარტყა, მაგრამ ვუთხრა, საქართველო ანექსირებული გაქვს-მეთქი.

— ...9 წელი სააკაშვილს ემალებოდი, ამ პერიოდში, 2008 წლამდე, ბურჯანაძე სააკაშვილის მარჯვენა ხელი იყო. გაქვს მორალური უფლება, ბურჯანაძის პარტიის პოლიტიკური მდივანი იყო?

— მაქვს და იცი, რატომ? — ვიცოდი, რომ დაჭერა-გამოშვების, შეწყალების, შევარდნისა და, საერთოდ, ძალისმიერ საკითხებს ბურჯანაძეს არც უთანხმებდნენ და არც ეკითხებოდნენ.

— შეიძლება, მაგრამ მინიმუმ, საჯაროდ უნდა გაეპროტესტებინა...

— მახსოვს, გირგვლიანის საკითხი გააპროტესტა და მერაბიშვილს ცნობილი ფრაზაც უთხრა, ყველაფერი ეს შემოგიტრიალდება და ვინც დასაკავებელია, სასწრაფოდ დააკავეო. იგივე 7 ნოემბერს, ხალხი რომ გადარჩენილიყო, პარლამენტის შენობა გახსნა...

— 9 ნოემბერს კი მიტინგის დარბევა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებით გაამართლა...

— წასული რომ ვიყავი, ვფიქრობდი, ვის მივმართო-მეთქი, მაგრამ ეს საკითხი რომც დაეყენებინა, მოგვარება გამორიცხული იყო...

— რა ამის პასუხია და, პრესკონფერენცია, რომელიც ნინო ბურჯანაძემ მოსკოვურ ვოიაჟს მიუძღვნა, მხოლოდ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ კი არა, „რუსთავი 2“-მაც პირდაპირ ეთერში გადასცა. ამაში ფული გადაიხადეთ?

— არა, რა ფული, ამის ფული სად არის? ფულს არავის ვუხდით... თუ ვინმეს „რუსთავი 2“ არ სწყალობს, ბურჯანაძეა და, ალბათ, თავისი ინტერესით ჩართო...

საერთოდ, ბოლო ხუთი წელია, საქართველოდან რუსეთში ცნობილი ფიგურა არც ხელისუფლებიდან ჩასულა და არც — საზოგადო მოღვაწეებიდან.

— რუსეთთან დიპლომატური ურთიერთობა არ გვაქვს და რატომ უნდა ჩავიდეთ?

— მერე რა მოხდა, რომ არ გვაქვს? ოდესმე რამე მოძრაობა ხომ უნდა დაიწყოს? ყველაფერი გაყინულია! იქ ჩასვლით ევროპასთან მეგობრობასა და ევროპულ გზას ხომ არ უარვყოფთ?

— არ უარყოფთ, მაგრამ ნატო თქვენთვის „ფუი, ეშმაკივითაა“...

— 2008 წლამდე ნატო-ში გაწევრიანებას მხარს ვუჭერდით, მაგრამ 2008 წლის მერე სიტუაცია შეიცვალა — გარკვეული არ გვაქვს, ნატო-ში როგორ შევდივართ.

— ბურჯანაძემ თქვა, ნატო სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე მიგვიღებსო, მაგრამ მსგავსი ინიციატივა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს არასოდეს გამოუჩენია. ასე რომ, ეს ანტინატოური იდეოლოგიაა!

— ეს თემა დღევანდელმა ხელისუფლებამ წამოსწია, დასავლეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაქუცმაცებას მაინც არ აღიარებს, ნატო-ში შევიდეთ და, ადრე თუ გვიან, აფხაზეთიც დაგვიბრუნდება და ე.წ. სამხრეთ ოსეთიცო. ჯერ ერთი, ნატო-ში შესვლა კი არა, მაპ-იც არ გვაღირსეს. მეორეც...

— გიგლა, მაპატიე, ნატო-ს ასეთი იდეაც არ აქვს და ეს მიზანმიმართული იდეოლოგიაა!

— არ მეგონა, თუ ესენი ასეთი სუსტები იქნებოდნენ — ვერ ხსნიან ეტაპებს და ფორმას, როგორ ესახებათ საქართველოს ნატო-ში შესვლა. ეს უახლოეს წლებში გამორიცხულია.

— შეიძლება, თუმცა ნატო-ს საპირწონე ევრაზიული კავშირი არაა!

— ევრაზიული კავშირიც გამორიცხულია, მაგრამ უნდა აიხსნას, როგორ საქართველოზეა ლაპარაკი.

— ნეიტრალური საქართველო გინდა?

— არა, არა... როგორ ხდება საქართველოს ნატო-ში შესვლა...

— გიგლა, ქვემოდან ხმაური ისმის, ხომ მშვიდობაა?

— 13 ივნისს წყალი ჩამოვიდა...

— აი, სათაურიც: ბურჯანაძეს წყალი ჩაუვიდა!

— წყალი ბურჯანაძის კაბინეტში კი არა, პირველ სართულზე შემოვარდა...

— ხმა დადის, ადგილობრივი არჩევნების დროს, ბურჯანაძის მთავარმა ოფისმა რეგიონებში ხალხი „გადააგდო“ და ფული არ მისცაო...

— არა... ყველა პარტიაში ხდება, ვიღაც განაწყენდება... ფული იმას მივეცით, ვისზეც ოფიციალურად, კანონის ძალით იყო გაწერილი. ამის იქით, რომც გვდომებოდა, ვერავის მივცემდით, რადგან ამის ფული არ გვქონდა...

— პარტიის გარდა, კიდევ რას საქმიანობ?

— შუა საუკუნეების ქრისტიანულ მისტიციზმზე ჩემი ერთი ნაშრომი უნდა გამოიცეს და ახლა ამაზე ვმუშაობ. გარდა ამისა, მეცნიერებას არ ჩამოვცილებულვარ... როგორღაც ხომ უნდა ვიცხოვრო და ჩართული ვარ ამერიკულ-გერმანულ-ფრანგულ ჰოლდინგში...

— მართლა ამერიკული ახსენე თუ მომესმა?

— არ მოგესმა...

— და აქ ამ ამერიკული ჰოლდინგის ამბავი იციან?

— რა მოხდა მერე?!

— რამდენი შვილი გყავს?

— ერთი — 22 წლის ცისია-ეკატერინე...

— ამბობენ, რომ პარტიაში რუხი კარდინალი ბადრი ბიწაძეა...

— არა... ოთხი თვეა, არ მინახავს — აქ არ მოდის ხოლმე... რაღაც სიტუაციებია, როცა ვხვდებით, ვმეგობრობთ. ძალიან ღირსეული და კარგი კაცია.

— რაზმები ისევ გყავთ?

— როდის გვყავდა? 26 მაისს რომ იყო? 26 მაისს რაც ჩვენმა ხალხმა იტანჯა...

— რასაც ლიდერებზე ვერ ვიტყვით...

— ლიდერებმაც — შვილი დაუჭირეს, სახლებში შევარდნა, უბედურება იყო და მეტი რა უნდა გაეკეთებინათ?!

— ეს ხომ გამოცხადებული დარბევის ქრონიკა იყო...

— ვანო, მეგობრობისა და პატივისცემის მიუხედავად, ქალბატონი ნინოსადმი ცოტა სუბიექტური ხარ, როცა ნინო ძალიან გაფასებს.

— რა იცი, რომ მაფასებს?

— ვიცი... შენს პროფესიონალიზმს აფასებს...

— არ გინდა, რამე შენც მკითხო?

— როგორ ფიქრობ, ერთი წლის მერე, რა იქნება?

— 5-პროცენტიან ბარიერს, ჰა და ჰა, გადალახავთ...

— ორჯერ, სამჯერ ან მეტჯერ ხუთსაც გადავლახავთ.

— წამო, ევროპაში წავიდეთ!

— წავიდეთ... სხვათა შორის, აშშ-ში ახლა პირველად ვიყავი...

— პარტიიდან გაიპარე?

— არა... მაიამიში მეგობარმა დამპატიჟა... აშშ საინტერესო ყოფილა...

— რუსეთს ხომ სჯობია?

— რუსეთსაც, მერწმუნე, თავისი პეწი აქვს...

— ...გიგლა, თავისუფალი ხარ?

— ამ 9 წელში გადაფასება მოხდა და, სიგიჟემდე არა, მაგრამ აბსოლუტურად თავისუფალი ვარ — კომპლექსები აღარ მაქვს!

— თუ ატყობ, როგორი პროდასავლური დიალოგი გამოგვივიდა...

— ვანო, რასაც ახლა ვიტყვი, არ ამოჭრა: ჩვენს პარტიულ ვიწრო წრეში ის მომწონს, რომ ძალიან ღირსეული ოჯახიშვილები არიან. აი, პარტიებს რომ ვუყურებ, წუპაკი პარტიელები არიან...

— ვის გულისხმობ?

— არ ვიტყვი, მაგრამ ცხოვრობენ პარტიული ლოზუნგებით. აქ კი ყველა ოჯახიშვილი, საღი და კარგია...

დენს პურისა და სხვა პროდუქტის გაძვირებაც მოჰყვება — ხელისუფლების „ცხელი“ შემოდგომა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის — სემეკის გადაწყვეტილებით, დენის ტარიფი დაახლოებით, 4 თეთრამდე გაძვირდა. ახალი ტარიფი ძალაში 1 აგვისტოს შევა და 31 დეკემბრამდე გასტანს, რაც იმას ნიშნავს, რომ 2016 წლის დასაწყისში, სემეკი ტარიფს კიდევ ერთხელ გადახედავს. სემეკს ამ მოთხოვნით რამდენიმე ენერგოკომპანიამ მიმართა, მათ შორის, „ენერგო-პრო ჯორჯიამ“. კომპანიები ტარიფის გადახედვას ლარის კურსის მკვეთრი გაუარესების გამო ითხოვდნენ, იგივეს ითხოვს „თელასიც“ და სავარაუდოდ, სექტემბერ-ოქტომბერში დენი თბილისშიც გაძვირდება.

20/30-ის ექსპერტი: „ხელისუფლებამ კეთილი ინებოს და ისე იცხოვროს, როგორც მისი მოსახლეობა ცხოვრობს — შემცირებული პრემიებით, ჯიპებით და სამივლინებო ხარჯებით!“

რატომ გაძვირდა დენის ტარიფი

20/30-ის ანალიტიკოსი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ლევან კალანდაძე** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დენის ტარიფის გაძვირებით დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღო. მისივე თქმით, სემეკმა არც ენერგოკომპანიების მოთხოვნა გაითვალისწინა — დენის ტარიფი, 4.8-ის ნაცვლად, მხოლოდ 3.9 თეთრით გაზარდა და არც ხელისუფლების, რომელიც ერთი თვის წინ მოსახლეობას პირდებოდა, რომ ტარიფი არ გაიზრდებოდა:

„სემეკი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომლის მიზანიც ერთი ან მეორე მხარის ინტერესების დაცვა კი არა, სამართლიანი ტარიფის დადგენაა. სამართლიანი ტარიფი იმას ნიშნავს, რომ არც ბიზნესი დაზარალდეს და მომხმარებლის ინტერესებიც მაქსიმალურად გაითვალისწინოს. პროცედურულად ასეა — განვლილი საფინანსო წლის, განხორციელებული ინვესტიციების, სამომავლოდ აღებული საინვესტიციო ვალდებულებების, შესყიდვის ფასის ცვლილების გათვალისწინებით, ტარიფის კორექტირება ყოველწლიური პროცესია. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური რეალობა არსებობს და მომხმარებელი ან ენერგოკომპანია სემეკს ტარიფის კორექტირების მოთხოვნით მიმართავს, მარეგულირებელი კომისია ვალდებულია, ეს საკითხი განიხილოს და ან დააკმაყოფილოს, ან არგუმენტირებული უარი უთხრას. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც, სემეკს „ენერგო-პრომ ჯორჯიამ“ მიმართა, რადგან სავალუტო კურსის ცვლილების გამო, აუცილებელი იყო შესასყიდი ელექტროენერგიის ღირებულების ცვლილება. მარტივად რომ ავხსნა, ტარიფი ორი ნაწილისგან შედგება, პირველი ნაწილია ელექტროენერგიის შესყიდვის ტარიფი და მეორე — საოპერაციო ხარჯები, რომელშიც შედის კომპანიის მოგება, ხელფასები, პრემიები, ინფრასტრუქტურის მოწყობა და ასე შემდეგ. ახლანდელი ტარიფის ცვლილების გათვალისწინებით, მეორე ნაწილი ანუ საოპერაციო ხარჯების კომპონენტი აბსოლუტურად არ იცვლება. მხოლოდ დენის შესაძენი და დისტრიბუციაში გასაშვები ფასი შეიცვალა. მას შემდეგ, რაც სემეკმა „ენერგო-პროს“ ფინანსური საფუძვლები გადაიანგარიშა, აღმოჩნდა, რომ მიმდინარე წელს ამ კომპანიას 66 მილიონი ლარის პრობლემა შეექმნა. ტარიფი რომ არ გაზრდილიყო, კომპანიას პრობლემა შეექმნებოდა, რასაც დენის გრაფიკით მიწოდება ან ხშირი გამორთვა მოჰყვებოდა. სამართლიანი ტარიფის აღდგენის თვალსაზრისით, სემეკმა სავსებით ობიექტური და რაციონალური გადაწყვეტილება მიიღო“.

დენის ტარიფის ზრდასთან დაკავშირებით, ხელისუფლების ოპონენტები პოლიტიკურ ზეწოლაზე მიანიშნებენ, თუმცა ლევან კალანდაძე ამ პოზიციას არ იზიარებს, რადგან 2015 წელს, როდესაც წინ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებია, ხელისუფლებას დენის ტარიფის ზრდა არ აწყობს. მისი თქმით, მთავრობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რომ ტარიფი არ გაზრდილიყო, მაგრამ ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით, სხვა გზა არ არსებობდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სემეკის გადაწყვეტილებით, ხელისუფლება უკმაყოფილოა, რაც ლევან კალანდაძის განმარტებით, იმას ნიშნავს, რომ სემეკმა აშკარად ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო.

„ცხადია, სემეკის გადაწყვეტილება არ მოგვწონს, მაგრამ თუ მეორე კუთხით შევხედავთ, ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკური ფაქტორი ანუ რამდენად ერევა ხელისუფლება ფასწარმოქმნის საკითხში. როდესაც პოლიტკკური კონიუნქტურის მიუხედავად, დამოუკიდებელი სემეკი ტარიფის ზრდის გადაწყვეტილებას იღებს, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს ინვესტორებისთვის სწორ სიგნალს ნიშნავს. ეკონომიკური კუთხით რომ შევაფასოთ, საქართველოში ის კი არ არის პრობლემა, რომ დენის ტარიფი გაძვირდა, არამედ — მოსახლეობის შემოსავალია დაბალი. ამიტომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ მოსახლეობის შემოსავლები გაიზარდოს, ბიზნესგარემო გაუმჯობესდეს, რათა ცხოვრების დონე ტარიფს დაეწიოს. ზოგადად, ტარიფის გაზრდა-არგაზრდის საკითხს ხელისუფლება არ წყვეტს, ეს მისი საქმე არ არის, მთავრობის საქმეა პოლიტიკა. ტარიფის შესახებ გადაწყვეტილებას ის კომპეტენტური ადამიანები იღებენ, რომლებიც სემეკში მუშაობენ“.

გაზრდა-არგაზრდა — ამომრჩევლის საკითხავი

ტარიფის კორექტირების მოთხოვნით, ენერგოკომპანიებმა სემეკს 2015 წლის აპრილში მიმართეს. ხელისუფლების ოპონენტებში მაშინვე ნიჰილისტური განწყობა გაჩნდა — ეს ხომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნებაა“, რომელმაც ტარიფების გადახედვის მოთხოვნით, სემეკს მიმართა. ეს ის ხელისუფლებაა, რომელმაც სამი წლის წინ, ენერგოტარიფები დაახლოებით, 4 თეთრით შეამცირა და ახლა რატომ დუმს, როდესაც სემეკმა დენი ისევ 4 თეთრით გააძვირაო? პოლიტიკური ოპონენტების გარდა, საზოგადოებასაც გაუჩნდა ლოგიკური კითხვა — როდის დაუშვა „ქართულმა ოცნებამ“ შეცდომა: სამი წლის წინ თუ ახლა?

ლევან კალანდაძე: „საზოგადოებამ არასოდეს უნდა დაიჯეროს წინასაარჩევნო დაპირებები ენერგოტარიფების შემცირებასა და პურის გაიაფებასთან დაკავშირებით, რადგან ეს ხელისუფლების კომპეტენცია არ არის! პოლიტიკური სუბიექტი ამომრჩეველს უნდა დაპირდეს, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ბიზნესგარემოს გააუმჯობესებს, რომლის შედეგი იქნება ტარიფის შემცირება, პურის გაიაფება და ასე შემდეგ. წინასაარჩევნო პერიოდში, საზოგადოებამ უნდა ისწავლოს, რომელი დაპირებაა რაციონალური და რომელი — არა, რა უნდა დაიჯეროს და რა არა. იმედი მაქვს, 2016 წლისა და შემდგომ არჩევნებში, ამომრჩეველი უფრო მომთხოვნი და მაკონტროლებელი იქნება იმ დაპირებების მიმართ, რასაც ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზიის მქონე პოლიტიკური ძალა უხვად არიგებს ხოლმე.

რაც შეეხება 2012 წელს, დიახ, სემეკმა მიიღო გადაწყვეტილება და ტარიფები შეამცირა, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ტარიფი ორი კომპონენტისგან შედგება, ახლა მხოლოდ პირველი კომპონენტი იზრდება და ეს კომპანიის მიერ ელექტროენერგიის შესაძენი ღირებულების ცვლილებაა. 2012 წელს, ტარიფის მეორე კომპონენტი ანუ საოპერაციო ხარჯების ნაწილი შეიცვალა. როგორც სემეკში აცხადებდნენ, სწორედ კომპანიის მოგების ნაწილში არსებობდა გარკვეული რეზერვი, რომლის დაკორექტირებითაც ტარიფი გაიაფდა. აშკარა სპეკულაციაა, როდესაც აცხადებენ, რომ ვინაიდან 2012 წელს ტარიფი შემცირდა, ახლა სწორედ იმავე მიზეზით ძვირდება, მაგრამ როგორც აგიხსენით, მაშინაც და ახლაც, აბსოლუტურად სხვადასხვა კომპონენტი დაკორექტირდა, რაც ერთმანეთთან კავშირში არ არის“.

2012 წლამდე, არც სააკაშვილის და არც შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, სემეკის ერთი გადაწყვეტილებაც არ გვახსოვს, როდესაც მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ენერგოტარიფი შემცირდა. ათვლის წერტილად, 1995 წელი ავირჩიოთ, რადგან სწორედ მაშინ დაიწყო დენის, გაზისა და წყლის გრაფიკით მიწოდების ხანა. ეს ის პერიოდია, როდესაც თბილისის გარეუბნებში 6-7-საათიანი, ცენტრში კი 3-4-საათიანი გრაფიკი მოქმედებდა, რეგიონები მთლიანად ჩაბნელებული, გაყინული და მწყურვალი იყო. იმ დროს, სემეკი გამუდმებით ენერგოკომპანიების ინტერესებს ითვალისწინებდა ანუ ტარიფებს ზრდიდა, ოღონდ მისი შემცირების გადაწყვეტილებას არ იღებდა. ასე იყო ეკონომიკის სხვა დარგებშიც — საკმარისი იყო, საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასი გაზრდილიყო, რომ მეორე თუ არა მესამე დღეს, საქართველოში ბენზინი და დიზელი ძვირდებოდა, თუმცა მაშინ, როცა მსოფლიო ფასები დასტაბილურდებოდა, ჩვენს ქვეყანაში საწვავი არ იაფდებოდა. აქედან გამომდინარე, ლოგიკური კითხვა ჩნდება — მართალია, ლარის კურსის გაუარესებას დენის გაძვირება მოჰყვა, მაგრამ დავუშვათ, ლარი დასტაბილურდა, გვაქვს გარანტია, რომ სემეკი მოსახლეობის ინტერესებს გაითვალისწინებს და ტარიფს გააიაფებს?

ლევან კალანდაძე: „ამ გარანტიის მოცემა არ შემიძლია! ბოლო ორი კვირის განმავლობაში, სემეკის წევრებს ინტენსიურად ვხვდები და გარკვეულ საკითხებსაც გავდივართ. სემეკში აცხადებენ, რომ თუ ლარის გამყარების პროგრესი გაჩნდება, მზად არიან, ტარიფი ხელახლა გადაიანგარიშონ. თუმცა ასეც რომ არ მოხდეს, სემეკი ვალდებულია, 2016 წლის დასაწყისში, ტარიფი ხელახლა გადაიანგარიშოს და ახალი მოცემულობის გათვალისწინებით, ახალი ტარიფი დაადგინოს. რაც შეეხება მიკერძოებულობას, დიახ, სემეკი ერთ-ერთი, ყველაზე პოლიტიზირებული სტრუქტურა იყო წინა ხელისუფლების დროს. მახსოვს შეკვეთით გაზრდილი ტარიფები, რომელიც ცალკეული ინვესტორების მადაზე იყო მორგებული, მაგრამ დღეს ეს თემა ჩახსნილია. სემეკს დამოუკიდებლობის ხარისხი გაუჩნდა და ცდილობს, ეს დამოუკიდებლობა დაიმკვიდროს“.

ქამრებშემოჭერილი ბიუჯეტის სოციალური ტვირთი

ტარიფის ზრდას „თელასიც“ მოითხოვს და ეს გარდაუვალი რეალობაა. დენის გაძვირებას კი ჯერ პურის და შემდეგ სხვა პირველადი პროდუქტის გაძვირებაც მოჰყვება. მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა ტარიფის სუბსიდირების გეგმა უკვე შეიმუშავა და გადაწყდა, რომ სახელმწიფო დენის გაძვირების ტვირთს მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას შეუმსუბუქებს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს, დაახლოებით, 20 მილიონი ლარი დაუჯდება. მართალია, ენერგოკომპანიებმა ტარიფის ცვლილება ლარის კურსის ვარდნის გამო მოითხოვეს, მაგრამ ზუსტად ამავე მიზეზით, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ადმინისტრაციული ხარჯები შემცირდა. ახლა კი ქამრებშემოჭერილი ბიუჯეტიდან, რომელიც ისედაც სოციალურია, მთავრობამ დამატებით 20 მილიონი უნდა გაისროლოს სუბსიდირებისთვის. საინტერესოა, რას ვუიაფებთ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომელიც 4 თეთრით გაძვირებულ დენის საფასურს არ გადაიხდის, მაგრამ გაძვირებული პურის ყიდვა ხომ მოუწევს?

ლევან კალანდაძე: „დიახ, ტარიფის ზრდის შედეგი ორი სიტყვით გამოისახება — ცხოვრება გაძვირდება! ეს ის გარდაუვალი რეალობაა, რაც ელექტროენერგიისა და სხვა სტრატეგიული ნედლეულის გაძვირებას თან სდევს. ბუნებრივია, ეს პურზე აისახება, რადგან პურის წარმოება ერთ-ერთი, ენერგოტევადი დარგია, რომლის საბოლოო ფასში, ელექტროენერგიის ხვედრითი წილი მნიშვნელოვანია. გეთანხმებით, დენის გაძვირება სამომხმარებლო ფასების ზრდას გამოიწვევს.

დასასრული მე-7 გვერდზე

ვერსიანიუსი

ევროპარლამენტარები ვანო მერაბიშვილს, გიგი უგულავასა და ბაჩო ახალაიას შეხვდნენ

ევროპარლამენტარები მატროსოვის ციხეში მყოფი ყოფილი მაღალჩინოსნების საკითხზე საუბარს პრეზიდენტსა და პრემიერთანაც გეგმავენ.

„იმედი მაქვს, ერთ დღეს სამართლიანობა გაიმარჯვებს. იმედია, რომ სასამართლო სისტემის ცვლილება, საკონსტიტუციო სასამართლოსა და სტრასბურგის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილებები დაეხმარება ამ პროცესს. ვფიქრობ, ქვეყნისთვის კარგი იქნება, თუ შერჩევითი სამართლის ასეთი ნიშნები გაქრება. თქვენმა ქვეყანამ ბევრ სფეროში პროგრესს მიაღწია და შერჩევითი სამართლის ნიშნები ამას აზიანებს. იმედია, მათ ექნებათ სამართლიანი შანსი, რომ საკუთარი საქმეები მოიგონ“, — ამბობს ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ელმარ ბროკი.

ლიტველი პოლიტიკოსი გაბრიელუს ლანსბერგისი კი მიიჩნევს, რომ ბაჩო ახალაიას მდგომარეობა „კარგი არ არის“:

„შევხვდი ბაჩო ახალაიას. ის არ გამოიყურება კარგად, მაგრამ ამბობს, რომ კარგ მდგომარეობაშია და მისი უფლებები არ ირღვევა. კითხვები, რომელიც სასამართლოს სხდომებს და მის ბრალს უკავშირდება, ისევ არსებობს. არის ეჭვი იმისა, რომ მათი დაპატიმრება პოლიტიკური ნიშნით მოხდა. ჩვენ ამ საკითხებს პრეზიდენტსა და პრემიერს გავაცნობთ“.

„ინტერპრესნიუსი“

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

უცხოეთში დასვენება ქართულ კურორტებზე ორჯერ იაფი ჯდება!

რა პრობლემებს აწყდებიან დამსვენებლები საოჯახო სასტუმროებში

„ფეისბუქფრენდმა“ თურქეთში, ალანიაში გადაღებული ფოტოები ატვირთა, რომელზეც ფანტასტიური 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო იყო აღბეჭდილი, ორი აუზით, საუნით, ჯაკუზით, „ოლ ინქლუზივ“ პაკეტით, უფასო ინტერნეტითა და რამდენიმე უფასო ტურით. 1 კვირაში, მთელ ამ სიამოვნებაში, 240 დოლარი გადაიხადა. ამას დავუმატოთ მგზავრობის 60 დოლარი, რომელიც ორივე გზას მოიცავს და ესეც თქვენი 300 დოლარი.

„სასტუმრო თვითონ ვიპოვე, ქართული ტუროპერატორით არ მისარგებლია — საკომისიოს ითხოვენ და ძვირი ჯდება... მეორე წელია, ალანიაში ვისვენებ და უკმაყოფილო ერთხელაც არ ვყოფილვარ. საქართველოში ამ ფასად დასვენება გამიჭირდებოდა, ვერც ასეთ სიამოვნებას მივიღებდი“, — ამბობს ლიკა ურუშაძე.

ლიკას მსგავსად, ქეთიც უცხოეთში დასვენებას ამჯობინებს და ამბობს, რომ ადგილობრივი სასტუმროები მომხმარებელს ისეთ სერვისს, როგორსაც უცხოური სასტუმროები სთავაზობენ, ვერასდროს შესთავაზებენ.

„ზაფხულში, როგორც კი შვებულებას ვიღებ, მაშინვე თურქეთში მივდივარ. ჩემი ბიუჯეტი დიდი არაა, საშუალოდ, 500 დოლარია. ამ თანხით დასვენება ეგვიპტეშიც შემიძლია, მაგრამ იქ ძალიან ცხელი ზაფხულია და ამიტომ თურქეთში მივდივარ — მომსახურება ძალიან კარგია, პერსონალი სულ თვალებში გიყურებს, ოღონდ რამით გასიამოვნოს. სხვათა შორის, სასმელიც უფასოა, თეფშზე არავინ გიყურებს, რამდენიც გინდა, ჭამე და დალიე. საღამოობით გასართობი შოუპერფორმანსები იმართება. 3-ვარსკვლავიან სასტუმროშიც ასეა — ცეკვავენ, თამაშობენ, შენც მონაწილეობ. გამორიცხულია, უკმაყოფილო დარჩე. ქართულ სასტუმროებში კი, ჩემი გამოცდილებიდან, ორი შეკითხვა ზედიზედ რომ დასვა, თვალებს ამოგთხრიან, თან ისე გაგწეწავენ, იქ მეორედ მისვლა არ მოგინდება. რესტორნებსა და სასადილოებშიც ცეცხლის ფასია“, — ამბობს ქეთი მახალდიანი.

„ვერსია“ შეეცადა, გაერკვია, რა დაუჯდებოდათ ლიკას და ქეთის იგივე ტურპაკეტი, საქართველოში რომ დარჩენილიყვნენ და ქობულეთსა და ბათუმში მდებარე ანალოგიური ტიპის რამდენიმე სასტუმროს დავუკავშირდით. გაირკვა, რომ ორადგილიან ნომერში ერთი ადგილის ღირებულება 150-დოლარიდან იწყება და უფასო მხოლოდ საუზმეა ანუ ის 300 დოლარი, რაც ლიკამ თურქეთის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დახარჯა, საქართველოში მხოლოდ ორი დღე ეყოფოდა. სრულფასოვანი კვების შემთხვევაში, ქართულ სასტუმროში, დამატებით 250 დოლარი უნდა გადაეხადა...

მოკლედ, იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთ გამგზავრება გადაწყვიტეთ და სასტუმროს დაჯავშნა თავად გსურთ, შეგიძლიათ, ონლაინსერვისით ისარგებლოთ. www.expedia.com ან www.booking.com -ზე შესვლისას დარწმუნდებით, რომ ფასები იმაზე გაცილებით დაბალია, ვიდრე წარმოგიდგენიათ. იმ შემთხვევაში კი, თუ სასტუმროს დაჯავშნას მაინც ვერ რისკავთ, http://www.tripadvisor.com დაგეხმარებათ, რომ თქვენს მიერ არჩეული სასტუმრო, როგორც იტყვიან, კიდევ ერთხელ გადაამოწმოთ — აქ მომხმარებლები შეფასებებს ტოვებენ, ზოგს სასტუმროს ადგილმდებარეობა მოსწონს, ზოგი სერვისითაა უკმაყოფილო, ზოგიც პირიქით. ყველაფერი ეს კი, სასტუმროს შერჩევას გაგიადვილებთ.

ფასები თურქეთში 30-დოლარიდან იწყება. თითქმის ანალოგიური ფასებია ევროპაშიც. აი, მაგალითად ესპანეთში, იბიცაზე დასვენებას აგვისტოში, დღეში 20-30 ევროდ შეძლებთ. თუ ახალგაზრდა ხართ და თვლით, რომ სასტუმროზე მნიშვნელოვანი ღირსშესანინაობების დათვალიერებაა, მაშინ ახალგაზრდული ჰოსტელი აირჩიეთ, სადაც ფასები 10 ევროდან იწყება. თუ თადარიგს დაიჭერთ და სასტუმროს სეზონის დაწყებამდე დაჯავშნით, ნაკლები თანხის გადახდა მოგიწევთ.

მათთვის, ვინც ცხელ ზაფხულში უცხოეთში გამგზავრებას ვერ ახერხებს და საქართველოში, ზღვაზე სურს დასვენება, რამდენიმე ალტერნატივა ისევ რჩება. პირველი: მონახონ შედარებით დაბალფასიანი სასტუმროები (ფასი 70 დოლარიდან იწყება), ადგილობრივების მიერ გაქირავებული სახლები, რომელთა ფასიც 400 დოლარიდან იწყება ან ისარგებლონ საოჯახო ტიპის სასტუმროთი, სადაც ორადგილიან ნომერში, ერთ ადამიანზე ფასი 10 ლარიდან იწყება. საოჯახო სასტუმროს არჩევისას აუცილებლად უნდა იცოდეთ, რომ კომფორტი ყოველთვის გარანტირებული არაა — სამზარეულო და აბაზანა, დიდი ალბათობით, საერთო იქნება.

სოფო დარბაიძე წლებია, ტუროპერატორად მუშაობს და ამბობს, რომ საქართველოში არსებული ფასები სერვისს არ შეესაბამება. საზღვარგარეთ დასვენების მსურველთა რაოდენობაც სწორედ ამიტომაა მაღალი. დარბაიძემ რეგიონების სასტუმროებში არსებულ პრობლემებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ იქ მომსახურების დონე ძალიან დაბალია, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელმაც წარმოშობილი პრობლემები უნდა მოაგვაროს, უძლურია და მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

„საქართველოს მოსახლეობა შეიძლება, ორ ნაწილად დავყოთ. შეძლებულებად, რომლებიც, როგორც წესი, ქვეყნის გარეთ ამჯობინებენ დასვენებას და ნაკლებად შეძლებულებად. მესამე კატეგორია, სოციალურად დაუცველები ჩვენი მომსახურებით ვერ სარგებლობენ. საქართველოში მომსახურების ხარისხსა და ფასს შორის საშინელი არათანაფარდობაა. აი, მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ერთ ქართულ ოჯახს სვანეთში ტურპაკეტი გავუკეთე. 3-დღიანი ტურის ღირებულება თურქეთის მარმარისში ერთკვირიან სრულფასოვან დასვენებას უტოლდებოდა. სულ ოთხი ადამიანი იყო. ერთი ადამიანის ღირებულება ამ პაკეტით 650 ლარი დაჯდა. აქ შედიოდა ავიაბილეთი, სასტუმრო, მუზეუმის მოსაკრებელი, ტრანსფერი, ადგილზე მინი ვენით მომსახურება და მხოლოდ ერთი დღე მესტიაში. აღსანიშნავია, რომ ჩვენ, ტუროპერატორები რეგიონებში საშინელ პრობლემებს ვაწყდებით. ადგილობრივ სასტუმროებთან ხელშეკრულება არ ჭრის. ყველაფერს ისე აკეთებენ, როგორც თვითონ სურთ. არიან კარგ ხასიათზე? — კარგ მომსახურებას გაუწევენ სტუმარს, არ არიან და თავს გჭრიან. როდესაც პრეტენზიას გამოთქვამ, გეუბნებიან, მიდი, გვიჩივლეო. ყოფილა შემთხვევა, ისე მოუმატებიათ ნომრის ღირებულება, ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. მხოლოდ მაშინ გავიგეთ, გადახდა რომ დავაპირეთ. ერთხელ, ერთ-ერთი სამინისტროს წარმომადგენლებმა ტური შეგვიკვეთეს. გავუშვით მაღალმთიან აჭარაში. ნომრები ერთი თვით ადრე მქონდა დაჯავშნული, თუმცა აღმოჩნდა რომ სასტუმროს მეპატრონემ ადგილები სხვა სამინისტროს წარმომადგენლებს დაუთმო და ეს მხოლოდ მაშინ გავიგე, როდესაც სტუმრები ადგილზე ჩავიდნენ. ქუთაისში კი ისეთი შემთხვევა მქონდა, დამატებითი თანხა გადამახდევინეს. მოგვიანებით გავიგე, რომ მომატყუეს და ის, რისთვისაც თანხა გადავიხადე, უფასო სერვისში შედიოდა. ბოლოს, ისევ კომპანია ზარალდება, რადგან ტურისტს არ აინტერესებს, ადგილზე ვინ როგორ იქცევა, მას ფული აქვს გადახდილი და სერვისი სჭირდება. პრობლემა ისევ ხალხშია. ქართველმა მომხმარებელმა არ იცის, ნამდვილი მომსახურება და შესაბამისად, წვრილმან შეცდომებზე პრეტენზიაც არ აქვს. უცხოელები კი ყველაფერს ამჩნევენ. როგორც წესი, საქართველოში მაინც საშუალო ფენის უცხოელები ჩამოდიან. მე, მაგალითად ყველაზე ხშირად უკრაინელები, თურქები, აზერბაიჯანელები და სომხები მხვდებიან. სხვათა შორის, დაკვირვებული ვარ, თბილისის ტურის დროს, რუსებს არ უყვართ, როდესაც ოკუპაციის მუზეუმს ვსტუმრობთ. თურქები და სომხები აქ ძირითადად გასართობად, კაზინოების გამო მოდიან. ჩემი აზრით, საქართველო უფრო საშუალო ფენის უცხოელებისთვისაა, საშუალო ფენის ქართველები კი მცირედი შესაძლებლობის შემთხვევაშიც საზღვარგარეულ წასვლას ამჯობინებენ“, — ამბობს სოფო დარბაიძე.

დენს პურისა და სხვა პროდუქტის გაძვირებაც მოჰყვება — ხელისუფლების „ცხელი“ შემოდგომა

მე-6 გვერდიდან

მართალია, ხელისუფლება ტარიფის სუბსიდირებას გეგმავს, რაც მხოლოდ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას შეეხება, მაგრამ პროდუქტების გაძვირებას მთავრობა ვერ შეეხიდება. დიახ, ქამრებშემოჭერილი ბიუჯეტი გვაქვს, მაგრამ ხელისუფლებამ კიდევ უფრო მეტად უნდა შემოიჭიროს ქამრები, კეთილი, ინებოს და უფრო მეტად გაიჭირვოს! ხელისუფლებამ ისე უნდა იცხოვროს, როგორც მისი მოსახლეობა ცხოვრობს — შემცირებული პრემიებით, ჯიპებით, სამივლინებო და მაქსიმალურად შემცირებული ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ხარჯებით! ასეთ სიტუაციაში ერთადერთი სწორი გამოსავალი ეს არის, არა მხოლოდ წმინდა რაციონალური, ეკონომიკური და ფინანსური, პოლიტიკური თვალსაზრისითაც კი. ჩვენ ახლა იმაზე ვსაუბრობთ, რომ ტარიფის გაძვირება სერიოზული „დარტყმაა“ ხელისუფლებისთვის, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. ერთადერთი, რაც ამ გადაწყვეტილებას „გააპრავებს“, ის არის, რომ ხელისუფლებაც იმ რეჟიმში გადავიდეს, როგორშიც საზოგადოება გადადის — მთავრობამ ქამრები უნდა შემოიჭიროს, რაც შესაძლოა, საზოგადოებამ პოზიტიურად აღიქვას. პიარის თვალსაზრისით, იგივე „ქეისი“ იყო თბილისის წყალდიდობა, როდესაც საზოგადოებამ დაინახა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები რეზინის ჩექმებით, ტალახიანები იდგნენ და რიგითი მოქალაქეების მსგავსად, სტიქიას ებრძოდნენ. როდესაც საზოგადოება ხედავს, რომ ხელისუფლება მისნაირია და მასაც ისევე უჭირს დენის ტარიფის გაძვირების გამო, მაშინ ეს გადატანადი ტვირთია და ხელისუფლებასაც შანსი ექნება, საზოგადოების მხარდაჭერა კიდევ ერთხელ მოიპოვოს“.

ოპოზიციის „კოზირი“ — სოციალური ჯანყი?!

დენის ტარიფი 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე ძვირდება. შუაში ორი დიდი სეზონური ინფლაციაა მოსალოდნელი — აგვისტო-სექტემბერსა და ნოემბერ-დეკემბერში. ამ პერიოდში გაზრდილი ტარიფი, ინფლაციურ ფონს უფრო დაამძიმებს და სექტემბერში, 10 ლარით მომატებული პენსიაც აზრს კარგავს. ამავდროულად, ესაა პერიოდი ანუ შემოდგომა, როდესაც ნაციონალური მოძრაობა ფართომასშტაბიან აქციებს აანონსებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყველაფერი სწორედ ნაციონალური მოძრაობის წისქვილზე ასხამს წყალს და ტარიფის გაძვირებით, ოპოზიციას ხელი ეწყობა, რომ შემოდგომის აქციებზე უფრო მეტი ხალხი გავიდეს. სადაა აქ ლოგიკა?

ლევან კალანდაძე: „არ არის ლოგიკა, ესაა რეალობა ლოგიკის გარეშე! ის, რაც ახლა თქვით, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ტარიფის ზრდა ხელისუფლების ინტერესებში არ შედის. მთავრობა ამ პროცესს მიღმაა ანუ ტარიფის ზრდა დამოუკიდებელი სემეკის ობიექტური გადაწყვეტილება იყო. მეორე თემა, რაც წლის ბოლოს მოსალოდნელ ინფლაციას უკავშირდება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სავარაუდო პრობლემებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) შემცირების გამო, ამ შემთხვევაში, ხელისუფლება კომფორტულ მდგომარეობაში ნამდილად არ არის. მთავრობას საკმაოდ „ცხელი“ შემოდგომა ელის და მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ეს ერთგვარი გამოცდაცაა, რომელიც ჩვენ, საზოგადოებამ და ხელისუფლებამ უნდა ჩავაბაროთ. დღეს ბევრი რამ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, რამდენად სწორ, რაციონალურ და შედეგზე ორიენტირებულ პოლიტიკას განახორციელებს, რამდენად სწორად დაიგეგმავს საბიუჯეტო პროცესს“.

არ მახსენდება, რომ ენერგოტარიფების შემცირების, ხელფასის ან სტიპენდიის გაზრდის მოთხოვნით, საქართველოს მოსახლეობა ქუჩაში გამოსულიყო. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, ეს მოტივი მოსახლეობას არ აღელვებს, ქუჩაში ძირითადად, პოლიტიკური მოთხოვნებით გამოდის. სოციალური თემატიკით დატვირთული აქციები ევროპული ქვეყნების ფუფუნებაა, თუმცა ერევანმა ევროპული გამოცდა ახლახან „ჩააბარა“, როდესაც ხალხი ქუჩაში ტარიფების შემცირების მოთხოვნით გამოვიდა. თუ იგივე პროცესი საქართველოშიც გაგრძელდება, რა უნდა გააკეთოს მთავრობამ, რომ შემოდგომაზე სოციალური ჯანყი არ მიიღოს?

ლევან კალანდაძე: „გარკვეული სტერეოტიპი, რომ ქართველები სოციალური თემების გამო ქუჩაში არ გამოდიან, მცდარია. მართალია, ერევანში განვითარებულ მოვლენებთან პირდაპირი კორელაცია არ არსებობს, მაგრამ შესაძლოა, ქართველებიც გამოვიდნენ ქუჩაში. კონკრეტული რეცეპტი — რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, არ მაქვს, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ პრაგმატული და რაციონალური გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს. პროცესები სწორად უნდა დაგეგმოს, ბიზნესსა და ინვესტიციებზე ორიენტირებული პოლიტიკა უნდა ჩამოაყალიბოს, მიზეზს უნდა შეებრძოლოს და არა — შედეგს. მიზეზი კი ცხოვრების დაბალი დონე და ინვესტიციების სიმცირეა. გრძელი გზა გვაქვს გასავლელი, მაგრამ სწორი პოლიტიკის შემთხვევაში, საზოგადოება საკმაოდ კარგ ანალიზს გააკეთებს. მთავარია, დავინახოთ, რომ მთავრობა სწორ ნაბიჯებს დგამს. პიარის თვალსაზრისით, ხელისუფლება ადამიანებისნაირი უნდა იყოს და ამიტომაც ვეუბნები ჩემს მეგობრებს, რომლებიც ხელისუფლებაში არიან, რომ რაც უფრო მეტი კონტაქტი და კომუნიკაცია ექნებათ ადამიანებთან, თუნდაც მის აგრესიულ ნაწილთან, მით უკეთესი იქნება“.

თურქეთში ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული 600-ზე მეტი ადამიანი დააკავეს

ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა აჰმათ დავუთოღლუმ განაცხადა. **„ამ დროისთვის, ოპერაციის მსვლელობისას, რომელიც ქვეყნის 22 პროვინციაში ტარდება, 600-მდე ადამიანია დაკავებული, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან სამ ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში და პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის“,** — განაცხადა პრემიერმა.

ქვეყნის მთავრობის ოფიციალური ინფორმაციით, პარასკევს თურქეთის უსაფრთხოების ორგანოებმა „ისლამური სახელმწიფოს“ ქურთთა მუშათა პარტიისა და რევოლუციური სახალხო-განმათავისუფლებელი პარტიის — ფრონტის წინააღმდეგ ანტიტერორისტული ოპერაცია დაიწყეს.

„ინტერპრესნიუსი“

საპატრულო პოლიციამ 3 წლის დაკარგული ბიჭი იპოვა

შსს-ს საპატრულო პოლიციის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს ბათუმში, ბულვარის მიმდებარედ მიმართა ახალგაზრდა ქალბატონმა, რომელმაც განუცხადა, რომ 3 წლის შვილი დაეკარგა და პატრულს დახმარებას სთხოვდა.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მიმდებარე ქუჩები გადაამოწმეს და დაკარგული ბიჭუნა სასტუმრო „ინტურისტის“ მიმდებარედ რამდენიმე წუთში იპოვეს. მცირეწლოვან ბავშვს არანაირი დაზიანება მიღებული არ ჰქონდა და ის ოჯახს უვნებელი დაუბრუნდა.

„ვერსიანიუსი“

პოლიციამ ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი თურქეთის მოქალაქე დააკავა

საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, სარფის საზღვრო საკონტროლო-გამშვები პუნქტში ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1944 წელს დაბადებული რეჯეპ ადნან სირინი დააკავეს. აღნიშნული პიროვნება ჰაგის ინტერპოლის მიერ 20.05.2015 წლიდან საერთაშორისო დონეზე იძებნება.

რეჯეპ ადნან სირინი დამნაშავედ არის ცნობილი ნიდერლანდების სამეფოს ოპიუმის შესახებ კანონოს მე-2 და მე-10 მუხლებითა და იარაღის შესახებ კანონის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც ითვალისწინებს ნარკოტიკული საშუალების უკანონო ტრეფიკინგსა და იარაღის უკანონო ფლობას.

შსს-ს თანამშრომლებმა დაკავებული აჭარა-გურიის რეგიონულ დროებითი მოთავსების იზოლატორში შეასახლეს და ამჟამად მის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

თამარ სანიკიძე: „სახელმძღვანელოების არავითარი დეფიციტი არ შეიქმნება, რეზერვი საკმარისზე მეტი გვაქვს!“

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

რა სიახლეებით ხვდება განათლების სამინისტრო ახალ სასწავლო წელს? ემუქრება თუ არა საფრთხე უფასო სახელმძღვანელოების პროექტს? გადასცემენ თუ არა პირველკლასელებს „ბუკებს“? რა სქემით და რამდენით გაიზრდება მასწავლებელთა ხელფასი? რა ბედით ელით სკოლისმიღმა დარჩენილ 5 წლის ბავშვებს? რას გულისხმობს სასკოლო მზაობის პროგრამა? იქნება თუ არა სკოლებში ექიმის კაბინეტები? რამდენი სკოლის რეაბილიტაცია მოესწრება სექტემბრამდე და რამდენი ახალი სკოლა აშენდება? — კითხვებზე, რომლებიც ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ შეიძლება გაგიჩნდეთ, საქართველოს განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე, თავად გიპასუხებთ:

— ახალი სასწავლო წლისთვის სამინისტროში მრავალმხრივი მზადებაა როგორც პროგრამების, ისე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, გარკვეული სიახლეები გვაქვს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, პედაგოგთა პროფესიაში შესვლისა და კარიერული განვითარების ახალი სქემა. მასზე ძალიან დიდხანს, ბევრი ვიმუშავეთ და უკვე დანერგვის ეტაპზე ვართ. დარწმუნებული ვარ, ეს სისტემა ძირფესვიანად შეცვლის სასკოლო ცხოვრებას.

— „სასკოლო ცხოვრების შეცვლაში“ კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც შეიძლება თეორიულად ან პრაქტიკულად მოსთხოვო პედაგოგს, მას პროფესიაში შემოსვლამდე ექნება აპრობირებული. ეს შეფასება მხოლოდ იმისთვის კი არაა, რომ მერე მასწავლებელმა კარიერულად წინ წაიწიოს ან უკეთესი ხელფასი აიღოს. ეს არის ჩატარებული გაკვეთილის ანალიზის საშუალება, რაც საგაკვეთილო პროცესის დახვეწის საშუალებაა. საერთაშორისო ექსპერტები აღნიშნავენ, რომ არც ერთ ქვეყანას, საწყის ეტაპზე, ასეთი დონის სქემა არ ჰქონია. ახლახან სტენფორდის უნივერსიტეტის ექსპერტი გვესტუმრა, რომელსაც მასწავლებლის პროფესიული განვითარების სფეროში დიდი გამოცდილება აქვს. რაღაც რეკომენდაციები მოგვცა, რომლებიც უკვე ავსახეთ სქემაში. მან პირდაპირ გვითხრა, რეფორმა, თავის დროზე, ჩვენც კი არ დაგვიწყია ასეთი ნაბიჯითო. ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ამ სისტემის დანერგვა კარგ შედეგს მოიტანს.

— ამ სისტემის დანერგვა მასწავლებლებს მეტ შემოსავალსაც მოუტანს, რადგან ხელფასზე აისახება, არა?

— რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგთა ხელფასები 2013 წელს გავზარდეთ, მაინც არ არის იმის ადეკვატური, რასაც მასწავლებელი უნდა იღებდეს. არ შეიძლება პედაგოგს დაუსახო მიზნები, მოსთხოვო კარიერული განვითარება... ხელფასის გაზრდის გარეშე. ამიტომ, გადავწყვიტეთ, ამ ახალი სისტემის ამუშავების თანმდევი იყოს სახელფასო პოლიტიკის მოგვარება. მომდევნო სასწავლო წელს, საბაზო ხელფასი, 35%-ით გაიზრდება ორჯერ — სექტემბერსა და აპრილში. ეს თავისთავად გამოიწვევს საშუალო ხელფასის მატებასაც, რადგან კოეფიციენტების ათვლა, სწორედ საბაზო ანაზღაურებიდან იწყება. გარდა ამისა, კარიერული საფეხურების შესაბამისად, გაიცემა დანამატებიც. მალე, მაგალითად მეორე საფეხურზე მყოფ, ანუ სერტიფიცირებულ პედაგოგს, საქართველოში არსებული საშუალო ხელფასის ოდენობის ანაზღაურება ექნება. ზოგადად, ამ სქემის ამუშავება, მასშტაბური სისტემური ცვლილებაა, რომელიც სასკოლო ცხოვრების ძირფესვიან შეცვლაზეა ორიენტირებული. ანუ, მასწავლებელს ექნება მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, აქტივობები, რომლებიც მიბმულია კრედიტთან, პროფესიულ განვითარებასთან და შესაბამისად — ხელფასთან. ეს არის კარგი სქემა. მერწმუნეთ, სახელმწიფო მასწავლებელს ზედმეტს არაფერს სთხოვს. მუდმივად საუბრობენ საგნობრივ კომპეტენციასთან დაკავშირებით. ეს არის ერთადერთი, რომელიც ტესტის სახით დავტოვეთ მასწავლებლებისთვის, ვისაც არ ჰქონდა საგნობრივი კომპეტენციები დადასტურებული. თუმცა, სქემა იმასაც დაარეგულირებს, როგორი კადრი უნდა შემოვიყვანოთ სისტემაში — იცვლება საუნივერსიტეტო პროგრამები. კანონში ცვლილება უკვე მომზადებულია. გადავალთ მასწავლებლის მომზადების 5-წლიან, 300-კრედიტიან პროგრამაზე, სადაც პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევაცაა ჩაშენებული. უმნიშვნელოვანესია, რომ პროფესიაში სწორედ მომზადებული კადრი შემოვა.

— ნებისმიერ რეფორმას დრო სჭირდება. ამ სისტემური ცვლილებების შედეგს საზოგადოება როდის დაინახავს?

— პირველი სამი წელი იქნება კრიტიკული. პირველ წელს სქემას დავაკვირდებით. 3 წელში კი გამოჩნდება იმ მასწავლებელთა კონტინგენტი, ვინც დაძლევს ელემენტარულ მოთხოვნებს. ამის შემდეგ, შედეგი თვალსაჩინო იქნება.

— მასწავლებლები მზად არიან ამ სიახლეებისთვის და აქვთ ამომწურავი ინფორმაცია სქემის შესახებ?

— სქემის კონცეფციის შედგენა-შემუშავების დროს პედაგოგებთან შეხვედრები რამდენიმე რაუნდად ჩავატარეთ. შერჩევის პრინციპით, საქართველოს მასშტაბით, 12 ათასი პედაგოგი იყო პროცესში ჩართული. მათგან მიღებული ადეკვატური რეკომენდაციები აისახა კიდეც დოკუმენტში. გავმართეთ რეგიონული შეხვედრებიც, სადაც ძირითადად, სქემის პრეზენტაცია ეწყობოდა. სამინისტროს ვებგვერდზე, მუდმივად იყო შესაბამისი ფანჯარა გახსნილი, სადაც ყველა ინფორმაცია, ოპერატიულად იტვირთებოდა. შეხვედრები ხდებოდა უნივერსიტეტებში. პროცესში პროფესორ-მასწავლებლების ჩართვა კი მნიშვნელოვანი იყო, რადგან სქემაში საუნივერსიტეტო პროგრამებს დიდი როლი ენიჭება. სპეციალურად შექმნილი ჯგუფები კი დღემდე უკვე სკოლების დონეზე მუშაობენ ამ სიახლის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის. გაყოფილია პასუხისმგებლობები ჩვენს სხვადასხვა სტრუქტურას შორის. მასწავლებელთა სახლს თავისი პროგრამა აქვს, „ემისი“ კი სკოლებს ახალი ელექტრონული პორტალის ფარგლებში პედაგოგების რეგისტრაციაში, დოკუმენტების ატვირთვაში ეხმარება.

— კიდევ ერთი სიახლე წელს წინასასკოლო მზაობის პროგრამა იქნება. დიდი აჟიოტაჟი მოყვა იმას, რომ 5 წლის ბავშვები სკოლაში არ შევლენ. კონკრეტულად რას გულისხმობს ეს პროგრამა?

— 5 წლის ბავშვი სკოლაში ცოდოა. სკოლაში უნდა მივიდეს 6 წლისა, რომელსაც გავლილი ექნება წინა სასკოლო მზაობის პროგრამა. პირველკლასელთა უმეტესობა არ არის ხოლმე კარგად მომზადებული სასკოლოდ. ეს მხოლოდ ჩვენი ქვეყნის კი არა, მსოფლიოს პრობლემა იყო, რომელიც მსოფლიომ იმით გადაჭრა, რომ გააძლიერა სასკოლო მზაობის, ანუ სკოლამდელი განათლების კომპონენტი. სკოლამდელი განათლება ჩვენთან შესაცვლელია. პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების, „იუნისეფისა“ და ჩვენს მიერ მომზადდა კანონპროექტი, რომლის საპარლამენტო განხილვებიც სექტემბრიდან დაიწყება. კანონპროექტი გულისხმობს, რომ სასკოლო განათლება პროგრამულად, სტანდარტულად, თავისი მონიტორინგით, განმახორციელებლებით, უნდა დაზუსტდეს, გაიმიჯნოს და რაღაც რეგულაციაში მოიქცეს. ჩვენ ჩართული ვიქნებით სტანდარტის მეთოდოლოგიისა და სწავლების მომზადების კუთხით. მის მართვასა და მენეჯმენტს კი თვითმმართველობები განახორციელებენ. ეს კანონი ბევრ საკითხს გადაწყვეტს, მაგრამ მისი აღსრულებისთვის დიდი სამზადისია საჭირო. ბევრი რამ, პირველ რიგში კი, ინფრასტრუქტურა იქნება მოსაწესრიგებელი. სასკოლო მზაობის პროგრამას 1 წელი ვაკვირდებოდით ჩვენ მიერ შერჩეულ საპილოტე სკოლამდელ დაწესებულებაში. სტანდარტი დამტკიცებულია, პროგრამა მომზადებულია, მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის მოწყობა. და რადგან ინფრასტრუქტურა ყველაზე დიდი პრობლემაა, შევთავაზეთ მერიას, პროგრამა დაიწყოს საჯარო სკოლებში. ეს მნიშვნელოვანია, რადგან წელს აუცილებლად უნდა შევძლოთ ამ პროგრამის ამუშავება და მასში აუცილებლად უნდა ჩაერთონ ბავშვები, რომლებიც წელს სკოლაში ვერ წავიდნენ. მომავალი წლიდან კი, სასკოლო მზაობის და ზოგადად, სკოლამდელი გა-

ნათლების პროგრამა, კანონით უნდა გახდეს სავალდებულო. მეთოდოლოგია შერჩეულია ასეთი გარდამავალი ეტაპისთვის ბავშვებმა ნელ-ნელა უნდა დაიწყონ ტრანსფორმაცია სასკოლო სივრცისკენ და ამავდროულად, „დარჩნენ თამაშში“. პროგრამა 3-საათიანია და მოიცავს საგაკვეთილო და სათამაშო ნაწილებს. ძირითადი მიდგომაა, თამაშით სწავლა. ოღონდ, ბავშვებს წერა-კითხვას კი არ ვასწავლით, იმ უნარებს გამოვუმუშავებთ, რომლებიც შემდეგ, სკოლაში, წერა-კითხვის ადვილად ათვისებაში დაეხმარება. ეს სკოლის მასწავლებლისთვისაც დიდი შვება იქნება. მას მიეცემა საშუალება, მთელი დრო პროგრამას და სწავლას დაუთმოს და არა უნარების გამომუშავებას, ან დისციპლინარულ საკითხებში ჩარევას.

— წელს რამდენ სკოლაში დაიწყება ამ პროგრამის განხორციელება?

— 50 სკოლაში და ასევე, ყველა საჯარო ბაღში, სადაც ამ ასაკის ბავშვების ჯგუფები იქნება. ეს პროგრამები მერიისთვის უკვე გადაცემული გვაქვს. ველოდებით იმ პედაგოგების დაზუსტებულ სიებს, რომლებსაც პირველადი 10-დღიანი ტრენინგი უნდა ჩავუტაროთ.

— ძალიან მცირე დრო ხომ არ არის, ათდღიანი ტრენინგი საკმარისია?

— 10-დღიანი ტრენინგი საკმარისია პირველი ეტაპისთვის. ინტერვენციები გვექნება პროგრამის განხორციელების პერიოდშიც.

— ინკლუზიური სწავლება წელსაც პრიორიტეტული იქნება და რა სიახლეებია ამ მხრივ?

— პრიორიტეტული რა თქმა უნდა, იქნება. მნიშვნელოვანია, რომ თუ დავიწყეთ ორი სკოლით, სადაც ორი ინტეგრირებული კლასი იყო, დღეს უკვე ათობით ასეთი კლასი გვაქვს და მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ყველა სკოლაში, სადაც ასეთი მიდგომა ინერგება, არიან შესაბამისი პედაგოგები, მეთოდისტები, ინფრაქსტურუქტურა... სიახლეები გვექნება უშუალოდ რესურსების განვითარების კუთხით — 2014 წელს, ჩვენ დავიწყეთ ჟესტური ენის სტანდარტისა და სახელმძღვანელოების განვითარება. ამ რესურსების ნაწილი მომზადებულია. ვმუშაობთ, ყველა დონის სახელმძღვანელო გვქონდეს. უკვე სისტემაშია ჩაშვებული ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი სახელმძღვანელოებიც არაჩვეულებრივად მუშაობს. სირცხვილი იმ ქვეყანას, სადაც აქამდე ბავშვებს ასეთი სახელმძღვანელოები არ ჰქონდათ და მეცადინეობა მხოლოდ სხვების დახმარებით შეეძლოთ. მათ არ ჰქონდათ საშუალება, თავად წაეკითხათ, საკუთარ თავზე ემუშავათ, რაც უმნიშვნელოვანესია. დღეს ეს პრობლემა მოეხსნათ.

— სამაგიეროდ, ამბობენ, რომ ზოგადად სახელმძღვანელოების მხრივ შეიქმნება პრობლემა, ბაზარზე წიგნების დეფიციტი გაჩნდება და შესაძლოა, უფასო სახელმძღვანელოების პროექტი საერთოდ ჩავარდეს. ამის საშიშროება თუ არსებობს და დაიბეჭდება თუ არა წიგნები მოსწავლეებისთვის?

— ამ პროექტს ისეთი შედეგი ჰქონდა, რომ მის არა თუ ჩავარდნაზე, უმნიშვნელო შეფერხებაზეც არ შეიძლება ვისაუბროთ. ორი წელია ბავშვებს აქვთ შესაბამისი რესურსები, ჰქონდეთ სახელმძღვანელოები იქ სადაც საჭიროება მოითხოვს, იარონ ტრანსპორტით. ორი წლის წინ, მოსწავლეების 40%-ს არ ჰქონდა სახელმძღვანელო. სკოლამდე მისასვლელად ათასობით ბავშვს კილომეტრების გავლა ფეხით უწევდა. არცერთი ეს პროგრამა, არავითარ შემთხვევაში, არ გაჩერდება. დავუკვირდეთ, ვინ ქმნის აჟიოტაჟს სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით: რამდენიმე-კაციანი ჯგუფი, რომელიც მუდმივად, პროექტის დაწყებიდან დღემდე, სხვადასხვა მიზეზით, ცდილობს არაჯანსაღი წარმოდგენა შექმნას და არანორმალური კითხვები დასვას. არავითარი პრობლემა და რისკი უფასო სახელმძღვანელოების პროექტს არ ემუქრება! საოცარია, დღეს ამბობენ, ცოტა წიგნს ბეჭდავენ, დეფიციტი შეიქმნებაო. შარშან ამბობდნენ, ბევრი დაბეჭდეს, სახელმწიფო თანხები გაანიავესო. არანორმალურია ეს მიდგომა! როცა ვსაუბრობთ დასაბეჭდ სახელმძღვანელოებზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ არის სახელმძღვანელოები, რომლებსაც პირდაპირ ვყიდულობთ გამომცემლებისგან. ამის გარდა, ქსელში გვაქვს ახალი სახელმძღვანელოების ნაშთიც, რომელიც მობილობის პროცესისთვის შევიძინეთ (10%-იანი სხვაობა) და ასევე, არის წინა წლების, თითქმის ახალი წიგნები. ჯამში, ეს არის საჭირო სახელმძღვანელოების დაახლოებით 40%. სახელმძღვანელოების არავითარი დეფიციტი არ შეიქმნება. რეზერვი საკმარისზე მეტი გვაქვს. ცოტა შელახული სახელმძღვანელოების რეზერვიც საკმარისია ბიბლიოთეკებში და თუ უცებ, ერთი სკოლიდან მეორეში მოსწავლე გადავა, რამდენიმე დღე ამ წიგნებს გამოიყენებენ. სხვათაშორის, არის კიდევ ერთი ფაქტი, რაზეც მეფიქრება — რეზერვში აღმოვაჩინეთ სახელმძღვანელოები, რომლებსაც აქვთ შელახული ყდები, შიგთავსი კი აბსოლუტურად ახალივითაა. ვფიქრობთ, მათ ახალი ყდები გავუკეთოთ. არავითარი ზედმეტი რესურსის შესყიდვას არ ვაპირებთ. თუმცა თუ დაგვჭირდა, არც დაბეჭდვა ან ყიდვაა პრობლემაა.

— პრობლემა არც მაშინ იქნება, გამომცემლობებმა სახელმძღვანელოები რომ გააძვირონ?

— გამომცემლობებს ფასის ლავირების საშუალება ყოველთვის ჰქონდათ. საინტერესოა, როცა საუბრობენ, რომ მათ ადრე შეზღუდვა ჰქონდათ, 10 ლარზე მეტად არ უნდა გაეყიდათ წიგნებიო, რით რეგულირდებოდა ეს? არ არსებობს შესაბამისი საბუთი. ან რის მიხედვით დაითვალეს ეს 10 ლარი? თუ ეს წიგნის რეპროდუქციის ფასია, მაშინ ის 2-3 ლარს არ უნდა აღემატებოდეს, რადგან ჩვენ შარშან ამ ფასად დავაბეჭდინეთ და წელს უფრო იაფი გვიჯდება. ამ ფონზე, ცხადია, რომ ეს იყო სამინისტროს მხრიდან დაშინების პოლიტიკა. გარკვეულ შემთხვევებში, ისეც მოხდა, რომ გაყვეს სახელმძღვანელოები ორ-ორ ნანილად და თითო ნაწილი ღირდა 10 ლარი. როცა ლაპარაკობენ, გამომცემლობებმა შეიძლება სახელმძღვანელოები გააძვიროსო, რატომ არ გვეკითხებიან შარშან რა ფასად ვიყიდეთ წიგნები? ბილინგვურ და უცხო ენების სახელმძღვანელოებში, რომლებიც გრიფირებული არ არის, 14, 18, 22 25 ლარი გადავიხადეთ. მითხრან, რომელია მათგან ათლარიანი? გამომცემელს ფასის მატების ნება ჰქონდა და აქვს კიდეც. მხოლოდ მის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, გააძვირებს თუ არა პროდუქციას, მაგრამ კიდევ რამდენით უნდა გააძვირონ, უსაშველო ფასს ხომ ვერ დაადებენ? თანაც, რამდენიმე გამომცემელმა უკვე გააკეთა განცხადება, რომ არ აპირებენ ფასის მატებას. ასე რომ, არავითარი განსაკუთრებული მდგომარეობა არ არის წელს სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით და ტყუილად ცდილობენ პანიკის დათესვას.

— იგივე შეგიძლიათ მითხრათ „ნეტბუკებზე“? ყველა პირველკლასელი მიიღებს წელს კომპიუტერს?

— „ნეტბუკები“ შეკვეთილია და უკვე დაიწყება მოწოდება. წელს, ტენდერის ფარგლებში, ხელშეკრულება გავაფორმეთ კომპანიასთან „ესაბი“, რომელმაც „ბუკები“ ძალიან კარგ ფასად მოგვყიდა — თითო 326 ლარად, მაშინ როდესაც, შარშან, თითოში 388 ლარი გადავიხადეთ. თანაც, რიგი დეტალები გაუმჯობესებულია. ძირითადი პარამეტრები კი — დაცული, რადგან ამ პარამეტრებმა შარშან ძალიან გაამართლა. ასე რომ, ყველა პირველკლასელი მიიღებს კომპიუტერს.

— არაერთხელ ახსენეთ ინფრასტრუქტურა. რამდენი სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს და რამდენი ახალი სკოლით ხვდებით სასწავლო წელს?

— ინფრასტრუქტურა ჩემი ტკივილია. რა უნდა მოსთხოვო მასწავლებელს ან მოსწავლეს, თუ არ არის ადგილი, სადაც ასწავლის და ისწავლის? ყველაზე ცუდი მდგომარეობა, სწორედ ინფრასტრუქტურის მხრივ დაგვხვდა. ეს პრობლემა რომ არ გვქონოდა, ბევრად წინ ვიქნებოდით არა მხოლოდ ფინანსური რესურსების მიმართვის, არამედ დროის კუთხითაც.

წელს 500 მდე სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, მაქსიმუმ მომავალ წელს, თუმცა ცდილობენ, წელსაც ყველა სკოლაში ძირითადი ფუნდამენტური სამუშაოები (კარ-ფანჯარა, სახურავი, სველი წერტილები, გათბობა) იყოს დასრულებული, რომ ამის შემდეგ შიდასამუშაოები სწრაფად გაკეთდეს. რა თქმა უნდა, არის სკოლები, რომლებიც არ ექვემდებარება რეაბილიტაციას. ვაშენებთ ახალ სკოლებს. ახალ სასწავლო წელს, დაახლოებით 10 ახალი სკოლით შევხვდებით. ახალი სკოლები იქნება შემდეგ სოფლებში: ხოვლე (კასპის მუნიციპალიტეტი), სამღერეთი (თეთრიწყარო), წილკანი (მცხეთა), მუხრანი (მცხეთა), ბუღაშენი (ახალქალაქის), სვირი (ზესტაფონის), აბანო (ქარელი), წიფნარი (ჩოხატაური). ასევე, სექტემბრისთვის ახალი სკოლის დასრულება მოესწრება ზედა ვანში და ვფიქრობ, ლამბალოშიც. კარგი კი ის არის, რომ უკვე 223 ექიმის კაბინეტი გვაქვს მაშინ, როცა შარშან სულ 100 სკოლაში გვქონდა. დაახლოებით 75 საჯარო სკოლაში, ექიმის კაბინეტის მოწყობა, მიმდინარეობს. მალე, პრეზენტაციას მოვაწყობთ და საზოგადოებას, იმ სკოლების შესახებაც მივაწვდით ინფორმაციას, რომელთა რეაბილიტაცია მომავალში იგეგმება.

შსს-ს აკადემიაში ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე სწავლება გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა და დაზარალებულთა სახელმწიფო ფონდის თანამშრომლებს, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები და თანამედროვე ტენდეციების საკითხებზე სწავლება ჩაუტარდათ.

სწავლების მიზანი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმების, სახელმწიფო ვალდებულებების შესახებ, ტრეფიკინგის დანაშაულის თანამედროვე ტენდენციებისა და არალეგალურ მიგრაციასთან შესაძლო კავშირებზე სიღრმისეული ცოდნის მიღება იყო.

სწავლება მხარდაჭერილია შსს-ს აკადემიისა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლობის მიერ, ევროპის სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ინსტიტიუტის პროექტის ფარგლებში.

„ვერსიანიუსი“

სასაზღვრო პოლიციამ ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე მალტის დროშით მცურავი გემი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის და საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს დასავლეთის ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებმა, ფოთის საზღვაო ნავსადგურში, ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე (ნაოსნობის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონში, მოძრაობისას არ გაითვალისწინა აღნიშნულ რაიონში მოძრაობის ორგანიზება, არ იმოძრავა დადგენილი მიმართულებით, გადაკვეთა ჩრდილოეთ-დასავლეთი ზონის მოძრაობის გამყოფი ზონა) მალტის დროშით მცურავი გემი „CHELSEA-2“ დააკავეს.

გემის კაპიტნის მიმართ, რომელიც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა, საქმისწარმოება ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე დაიწყო (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114-ე პრიმა-1 მუხლის 1-ლი ნაწილით). გემის კაპიტანს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა ჯარიმა - 50 000 ლარის ოდენობით. ჯარიმის გადახდის შემდეგ გემს თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა.

„ვერსიანიუსი“

ოკუპანტებმა ხურვალეთთან 48 წლის დავით ხუროშვილი დააკავეს

ე.წ. რუსმა მესაზღვრეებმა გორის რაიონის სოფელ ხურვალეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, საკუთარ ბაღში ადგილობრივი მკვიდრი 48 წლის დავით ხუროშვილი დააკავეს. დავით ხუროშვილთან ერთად ბაღში მუშაობდნენ მისი ოჯახის წევრები.

დაკავებულის დედა ციური ხუროშვილი აცხადებს, რომ მის შვილს ე.წ. საზღვარი არ გადაუკვეთავს და საკუთარ მიწის ნაკვეთში მუშაობდა. ციური ხუროშვილის თქმით, დავით ხუროშვილს ე.წ. მესაზღვრეებმა ტელეფონით სარგებლობის შესაძლებლობა მისცეს და სწორედ მისგან შეიტყვეს, რომ ცხინვალის მიმართულებით გადაიყვანეს. სხვა ინფორმაცია ოჯახის წევრებს არ გააჩნიათ.

„ინტერპრესნიუსი“

1. მეცნიერება ატ-მოსფეროსა და მასში მიმდინარე პროცესების შესახებ
2. ომის წარმოების ხელოვნება
3. მთა თბილისში
4. მცოცავი ბალახოვანი მცენარე
5.იალქნის მსაგგავრებელი ძელი გემზე
6.ფიზიკის ნაწილი, რომელიც ტემპერ-ატურის გაზომვის მეთოდებს სწავლობს
7. ყვითელი მინერ-ალური საღებავი
8. ქიმ. ელემენტის ნაერთი ჟანგბადთან
9.მოძრავი სხეულის ერთ-ერთი თვისება
10. ბალ-კანეთის ერთ-ერთი ქვეყანა
11. მაროს ქმარი „გა-რიგებაში“
12. ტიბეტური ხარი
13. ქიმიური ელემენტი, მეტალი
14.ქალაქის დიდი და სწორი ქუჩა
15. დაკვირვება ბუნებრივ პირობებში
16. ჭაობის მცენარე
17.ძველ-ინდური ეპოსი
18. კანონიზ. ტექსტების მეცნიერული გამოცემა
19.ყველაზე მაღალმთი-ანი ტბა ანდებში
20. კიდევ, ხელახლა
21. ადამიანის ერთ-ერთი ჩანასახოვანი გარსი
22.ნოტიო და ჩახ-ურებული ფქვილი
23. სამხედ. ნაწილის საცხოვრე-ბელი
24.ცხენის რძისგან დამზად. სასმელი
25.გაფუ-ჭებული კვერცხი
26. შხამიანი გომბეშო
27. პიანისტი ... ბოლქვაძე
28. ისრაელის წარმოების ავტომატი
29.ხარზე უღლის დასადები ადგილი
30. ცეცხ-ლის მნათი ნაწილი
31. ძვლის ტვინის ანთება
32.ვირტუოზ ხასიათის მუსიკალური პიესა
33. მცენარეთა სამყარო
34.დასარ-ტყმელი მუსიკალური საკრავი
35. გრძელი შალაშინი
36. აშშ-ის მოქმედი პრეზი-დენტი
37.აბატი პრევოს მანონ ...
38. მდინარე შვეიცარიის დედაქალაქში
39. ფრედი მერკურის ჯგუფი
40. ისტო-რიის მუზა
41.არმიის გარემოცვა მტრის ჯარ-ების მიერ
42.სწრაფად მზარდი ჩინური ხე
43. ფუეჭი, უშედეგო
44. საგანთა ჩამონათ-ვალი
45.მუსიკ. გამის V ნოტი
46. გიტარის მავთული
47.რეგუ-ლარული შემოსავალი კაპიტალიდან
48. იაპონელთა ტრად. სასმელი
49. ინდიელი ხალხი
50.იგივე, რაც ბურუსი
51. ღვ-თაებრივი მსხნელი
52. ინგლისელი მსახიობი ტომ ...
53. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
54. თოვ-ლის კაცი
55. ცისკარას სატრფოს სახელი
56. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
57. საგნის მონახაზი, კონტური
58. კიმონოს შესაკრავი ქამარი
59.მოლუს-კის ნიჟარის შიგნითა შრე
60. ტაჯიკ-ური ლიტ-ერატურის კლასიკოსი
61. ქალაქი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავ-ლეთში
62. საქონლის საკვები ბალახი

სახლი ღვინის მოყვარულთათვის

ღვინის ჭეშმარიტ დამფასებლებს შეუძლიათ, კომფორტულად დასახლდნენ ტოკიოში, სადაც სპეციალური, მრავალბინიანი სახლი ააშენეს ღვინის სარდაფით და გარდა ამისა, სახლის ბინადრებს სომელიეც მოემსახურებათ გამოძახებით. 10-სართულიან კორპუსს „ღვინის აპარტამენტები“ უწოდეს და მის სარდაფში არის სათავსო ტემპერატურის კონტროლით, რომელიც 10 ათას ბოთლზეა გათვლილი. 18 ბინიდან თითოეული აღჭურვილია ღვინის შესანახი სპეციალური მაცივრითა და ბოკალების სადგამით. ცოტა ხანში კორპუსში ბისტროსაც გახსნიან, სადაც სახლის ბინადრებს შეეძლებათ გემრიელად ისადილონ და თითო ბითლი ღვინოც მიირთვან, მათ შორის საკუთარი კოლექციიდან. ამ სახლში ბინის დაქირავების მსურველებს 2400-2600 დოლარის გაღება მოუწევთ და ეს 30%-ით უფრო ძვირია, ვიდრე ჩვეულებრივი ბინები ტოკიოს ამ რაიონში. ღვინის სარდაფით სარგებლობისთვის დამატებითი გადასახდი 200 დოლარია თვეში, ეს უფლებას იძლევა, საკუთარი კოლექციიდან 300-მდე ბოთლი შეინახონ. სახლს დასვენების დღეებში ეწვევა სომელიე და მის მცხოვრებლებს შეეძლებათ სხვადასხვა რჩევა მიიღონ. კომპანია, რომელმაც „ღვინის აპარტამენტები“ ააშენა, მომავალ წელს კიდევ ერთი, უკვე 30-ბინიანი კორპუსის აშენებას გეგმავს. ფირმის პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ეს ფულის დაბანდების საუკეთესო საშუალებაა. თუმცა, კომპანია მხოლოდ ღვინის მოყვარულებზე გათვლილი პროექტებით არ შემოიფარგლება — ცოტა ხნის წინ საცხოვრებელი კორპუსი მუსიკოსებისთვისაც ააშენეს, გაძლიერებული იზოლაციით.

კატა შიდსის წინააღმდეგ

შიდსის ვირუსისგან, რომელსაც კატა ატარებს, იმუნოდეფიციტის ვირუსით დაავადებული ადამიანისთვის ვაქცინის დამზადება შეიძლება, — დაასკვნეს სწავლულებმა. მათი აზრით, შიდსით დაავადებული კატების სისხლში არსებული პროტეინი აივ-ინფიცირებულთა იმუნიტეტს აძლიერებს. ლაპარაკია ვირუსზე, რომელსაც კატის იმუნოდეფიციტის ვირუსი (feline immunodeficiency virus) ეწოდება. გამოკვლევებში ფლორიდის, კალიფორნიისა და სანფრანცისკოს უნივერსიტეტის მეცნიერები მონაწილეობდნენ. კატისებრი შიდსის ვირუსის ფერმენტიდან წარმატებით შეგვიძლია მივიღოთ T-ლიმფოციტი, რომელიც იმუნოდეფიციტის ვირუსის წინააღმდეგ იბრძოლებს, — აცხადებენ ამერიკელი მკვლევარები. თუმცა, სწავლულები იმასაც განმარტავენ, რომ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია და მომავალში ღრმა გამოკვლევას საჭიროებს.



შეყვარებულის პოვნისთვის ჯილდოს იძლევა

აშშ-ს ქალაქ ბირმინგემის ერთმა მცხოვრებმა გადაწყვიტა, 10-ათას დოლარიანი ჯილდო მისცეს იმ ადამიანს, ვინც ისეთ გოგონას მოუძებნის, რომელთან ურთიერთობაც 6 თვეს მაინც გასტანს. 29 წლის რენ ლუიუმ განაცხადა, რომ სპეციალური საიტი შექმნა, რომლის მეშვეობითაც ბოლო 10 თვის განმავლობაში 30 პაემანი მაინც ჰქონდა, მაგრამ არც ერთი მათგანი მისთვის წარმატებით არ დასრულებულა, ამიტომ გადაწყვიტა დახმარებისთვის საზოგადოებას მიმართოს. ის, ვინც შეძლებს რენს ისეთი გოგონა გააცნოს, რომელთანაც ნახევარ წელს მაინც გაძლებს, სოლიდურ პრიზს დაიმსახურებს. ეს ძალიან მარტივია, მეც დროის ეკონომიას გავწევ და წარუმატებელ პაემნებზე აღარ ვივლი, თქვენ კი, კარგი ანაზღაურების სანაცვლოდ, იმას გააკეთებთ, რასაც ზოგჯერ მეგობრებისთვის ფულის გარეშე სჩადიხართ, — წერს საიტზე შეყვარებულის მოსურნე მამაკაცი. აღსანიშნავია, რომ რენი ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია და ფინანსურ ბაზარზე მრჩევლად მუშაობს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	3		6		5	4		
4				1			5	
		9						
3	5					7	4	
		7	5		3	6		
	4	6					3	2
						2		
	8			6				5
		3	2		8		9	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		9		2				3
	6		1	5	9			
4						7		
1			7	4		5		
	7						8	
		2		8	5			1
		7						5
			6	9	3		4	
9				7		3		

ᲠᲗᲣᲚᲘ

						7		4
1					6		9	
	7		5		2		3	
5						8	4	
			4		1			
	3	7						5
	6		9		4		8	
	2		7					6
7		8						

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	1			2	8			
	6		1					9
				5	3	4		8
						2		4
	7	4	5		2	1	9	
2		6						
1		9	3	4				
7					9		8	
			7	8			4	

„ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐ“ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ

ცოტა ხნის წინ ნასას (აშშ-ს კოსმოსური სააგენტო) პრესკონფრენციაზე, რომელსაც ისტორიული უწოდეს, ცნობილი გახდა, რომ აღმოაჩინეს დედამიწის მსგავსი ახალი პლანეტა. ის Kepler-ის ტელესკოპმა დააფიქსირა და მასზე, როგორც დედამიწაზე, სავარაუდოდ, წყალი უნდა არსებობდეს. ეს ეგზოპლანეტა 1400 სინათლის წელიწადის მანძილზე, გედის თანავარსკვლავედში მდებარეობს. მისი დიამეტრი ჩვენს პლანეტაზე 60%-ით მეტია. აღმოჩენას Kepler-452b უწოდეს იმ ვარსკვლავის პატივსაცემად (Kepler 452), რომლის გარშემოც ბრუნავს, მოძრაობის პერიოდი კი 385 დღეა, ანუ წელიწადიც თითქმის ჩვენი წელიწადის ხანგრძლივობას უტოლდება. ნასას სპეციალისტების თქმით, აღმოჩენილი პლანეტის ზომა და მისი დაშორება ვარსკვლვისგან ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ მასზე, შესაძლოა, სიცოცხლე არსებობდეს. მეცნიერების განცხადებით, პლანეტა მილიარდობით წლის განმავლობაში, ე.წ. სიცოცხლის ზონაში იმყოფებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასზე სიცოცხლე არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ეს დედამიწის მსგავსი პლანეტის აღმოჩენის პირველი შემთხვევაა. პირველი ეგზოპლანეტა, ანუ მზის სისტემის გარეთ მდებარე პლანეტა 1992 წელს აღმოაჩინეს. კოსმოსური ტელესკოპის Kepler-ის მეშვეობით პლანეტებზე დაკვირვება კი 2009 წლიდან მიმდინარეობს. მარტო წელს ტელესკოპმა 11 ახალი პლანეტა აღმოჩინა. დღემდე მეცნიერებმა 1000-მდე ეგზოპლანეტა შეისწავლეს. მათი თქმით, ჩვენს გალაქტიკაში Kepler-452b-ს მსგავსი კიდევ ბევრი პლანეტა უნდა არსებობდეს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ „ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘ“ ᲘᲕᲚᲘᲡ

თუკი ამერიკაში შემთხვევით 40-ფუტიან, კუბოს ფორმის ავტობუსს გადააწყდებით, ნუ შეშინდებით — ეს „უკვდავების ავტობუსია“, „დაბერებისა და სიკვდილის წინააღმდეგობის სიმბოლო“. ოთხი თვის განმავლობაში ასეთი ავტობუსი, პრეზიდენტობის კანდიდატთან ტრანსჰუმანისტების პარტიიდან, ზოლტან იშტვანტან ერთად, ამერიკის შტატებს მოივლის. მასთან ერთად იქნებიან მეცნიერები და მისი მხარდამჭერები. გვინდა გავავრცელოთ კულტურა, რომელიც დადებითად აისახება ადამიანების ცხოვრებაზე, — ამბობს კანდიდატი, — მიტინგებისა და სხვ ღონისძიებების გარდა, მოვინახულებთ სხვადასხვა დაწესებულებას, მაგალითად, ინვალიდთა სახლს და იმ ახალ ტექნოლოგიებს განვიხილავთ, რაც მათ ცხოვრებას გაუუმჯობესებს, — აცხადებს იშტვანი. ავტობუსის შესაძენად საჭირო 25 ათასი დოლარის შესაგროვებლად პრეზიდენტობის კანდიდატმა მასშტაბური კამპანია წამოიწყო. მომავალში აპირებს დააფინანოს სამეცნიერო აღმოჩენები, ლაბორატორიული ექსპერიმენტები და სამეცნიეროი მასალების პუბლიკაცია. ტრანსჰუმანისტების პარტია ფუტურელოგმა და ფინანსისტმა ზლატან იშტვანმა გასულ წელს დააფუძნა.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	1	4	5	3	2	8	7	9
9	3	5	8	7	4	6	1	2
2	8	7	1	9	6	5	4	3
5	2	8	6	1	9	4	3	7
4	9	3	7	8	5	2	6	1
7	6	1	2	4	3	9	5	8
1	7	9	4	5	8	3	2	6
3	5	6	9	2	1	7	8	4
8	4	2	3	6	7	1	9	5

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	4	9	8	7	6	5	2	1
2	6	1	5	9	4	3	8	7
8	7	5	3	2	1	6	9	4
7	9	8	6	5	3	4	1	2
6	5	4	2	1	9	8	7	3
1	3	2	4	8	7	9	6	5
5	2	3	7	6	8	1	4	9
9	8	7	1	4	5	2	3	6
4	1	6	9	3	2	7	5	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

6	3	5	8	2	1	4	7	9
2	7	1	4	9	6	8	5	3
8	9	4	3	7	5	2	6	1
5	4	6	2	3	9	1	8	7
7	1	9	6	8	4	3	2	5
3	2	8	1	5	7	9	4	6
4	8	7	9	6	3	5	1	2
1	6	3	5	4	2	7	9	8
9	5	2	7	1	8	6	3	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	7	9	1	6	5	4	3	2
6	5	3	4	2	9	1	8	7
4	2	1	8	3	7	9	6	5
2	9	4	7	1	8	6	5	3
3	1	8	5	4	6	7	2	9
7	6	5	3	9	2	8	4	1
9	8	6	2	5	1	3	7	4
5	4	7	9	8	3	2	1	6
1	3	2	6	7	4	5	9	8

მე-10 გვერდი: 1. ლიმონათი; 2. ინფლაცია; 3. ოპოზიცია; 4. ამინდი; 5. შიკოლონე; 6. იქთიოლოგია; 7. ოკრიბა; 8. ეკიუ; 9. აფროდიტე; 10. როსტევანი; 11. ახმადულინა; 12. ერესი; 13. „ეთერიანი“; 14. მიტელშპილი; 15. ავინიონი; 16. ანი; 17. არიადნე; 18. ომბალო; 19. იდეა; 20. ცოცხი; 21. პკე; 22. კელა; 23. დოგი; 24. მისია; 25. სნო; 26. ელიავა; 27. რუბიკი; 28. ტომ; 29. გრაფი; 30. პაატა; 31. სკლერა; 32. ეგერი; 33. გალიანო; 34. რულადა; 35. რევიუ; 36. იუდა; 37. ილი; 38. კეკე; 39. ემე; 40. პადრე; 41. ლილუ; 42. შამბი; 43. ალტი; 44. არქიელი; 45. ფანდი; 46. მელუა; 47. როსი; 48. ოდა; 49. ლევ; 50. ნაიბი; 51. სილიო; 52. კოლი; 53. პენალი; 54. ალი; 55. ტრამპი; 56. ევრიდიკე; 57. შაურმა; 58. ბაშო; 59. პლედი; 60. ჭკა; 61. ანტრე; 62. ყბა; 63. ავიაცია; 64. „დდტ“.

მე-12 გვერდი: 1. აგორაფობია; 2. სლენგი; 3. ანტრაშა; 4. ობოლი; 5. აკიმი; 6. ლოტოსი; 7. ნაბული; 8. იადონი; 9. სტროფი; 10. ლუციფერი; 11. ზიარება; 12. ისტორია; 13. ონაგრი; 14. დებიტი; 15. ალიზი; 16. უშუ; 17. ლანცა; 18. ნილოსი; 19. „პრადა“; 20. სინი; 21. ფლორა; 22. ალეგრო; 23. რაფაელი; 24. არიფი; 25. „ლოლიტა“; 26. მეფე ლირი; 27. კეა; 28. ფლეიტა; 29. ცოტნე; 30. აბოლიცია; 31. იორდანია; 32. ერბო; 33. დარიალი; 34. ბენეფიციარი; 35. იუანი; 36. აიაჩო; 38. ბაო; 39. ალაო;'40. ტაო; 41. ლედ; 42. ელი; 43. ფიფა; 44. ილტო; 45. „ნაიკი“; 46. კანტი; 47. იუტა; 48. ბაიდარა; 49. ტრეკი; 50. დანია; 51. თებე; 52. მანილა; 53. მარჩილი; 54. ემუ; 55. ბარაკი; 56. ტროა; 57. რაუნდი; 58. ნიცა; 59. მალა; 60. ლეი; 61. იოსები; 62. იონი; 63. ტაფა; 64. მიაუ; 65. მათლაფა; 66. დალი; 67. სიძე; 68. იურთი; 69. იაგანი; 70. ფარია; 71. უდე; 72. გვიმრა; 73. ასტრა; 74. მახარაძე; 75. გევარა; 76. ბრი; 77. ვალე; 78. ბუზი; 79. რიბსტული; 80. ევბეა; 81. აული; 82. დიახ; 83. კაისა; 84. თხა; 85. ბაგე; 86. „ახაშენი“; 87. ფაუ.

სახლს დესერტის რეცეპტზე ყიდის

აშშ-ში, კალიფორნიის მცხოვრები ქალბატონი ყველა მსურველს სთავაზობს, მონაწილეობა მიიღოს სახლისთვის კონკურსში, რომელიც ქალაქ ჯექსონში მდებარეობს. შეჯიბრის პირობების მიხედვით, საცხოვრებელ ფართს მიიღებს ის ადამიანი, ვინც მის მფლობელს ყველაზე გემრიელი დესერტის რეცეპტს შესთავაზებს. საცხოვრებელი სახლი 211 კვადრატული მეტრის ფართს მოიცავს. მასში ოთხი საძინებელი და ორი სააბაზანოა. სახლის საწყისი ფასი დახლოებით 390 ათას დოლარს შეადგენს. როგორც კულინარიული კონსკურსის ორგანიზატორი ამტკიცებს, ამ ნაბიჯის გადადგმა იმიტომ გადაწყვიტა, რომ აქამდე ვერაფრით შეძლო უძრავი ქონების გაყიდვა. სახლის მფლობელი თავად დააკვირდება კონკურსს, რომ კეთილსინდისიერი კონკურენცია იყოს, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას გამარჯვებულის თაობაზე ექსპერტების ჯგუფი მიიღებს. ამ უჩვეულო „ტკბილ მარათონში“ ჩაბმის მსურველებმა მასში მონაწილეობისთვის 10 დოლარი უნდა გადაიხადონ და დესერტის საკუთარი რეცეპტი გაგზავნონ.

1. მსოფლიო მხედველობა, რომელიც განმსჭვალულია ადამიანის სიყვარულით
2. ზღაპრული ან ლეგენდარული შინაარსის მცირე ზომის ლექსი
3. ცის და დედამიწის შემაერთებელი ვირტ. ხაზი
4. ინდიელთა ამჟამად ამოწყვეტილი ტომი
5. სპორტული ცურვის ხერხი
6. იგივეა, რაც მწერლობა
7. კავალერთან მოცეკვავე ქალი
8. იგივეა, რაც კრაზანა (მწერი)
9. მოქმედი ვულკანი ალასკაზე
10. ანგორული თხის მატყლი
11. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
12. პენელოპეს მეუღლე
13. მერვე მუსიკალური ინტერვალი
14. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
15. დაბა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
16. მღვდლის სამოსელის ნაწილი
17. ძვ. ქართული საესტრადო კოლექტივი
18. ჩინეთის ქალაქ კულჯას მეორე სახელწოდება
19. რუსული შოუ ბიზნესის ვარსკვლავი
20. ლექსის სტრიქონი
21. ლატვიის ეროვნული ვალუტა
22. მეფე არტურის სავანე
23. დედამიწასთან უახლოესი ვარსკვლავი
24. კოლექტიური გასეირნება მეცნიერული, სპორტული ან გართობის მიზნით
25. მუშაობის საზომი ერთეული
26. მეფე ლომის სახელი ამერიკულ მულტფილმში
27. ძველი ასურეთის დედაქალაქი
28. ჩრდ. ამერიკის უმაღლესი მწვერვალი
29. მაღალი ტანის დეკორატიული ხე
30. კულინარიული ნაწარმის სახეობა
31. გიორგი ოვაშვილის ფილმი „გაღმა ...“
32. ვულკანური გავარვარებული მასა
33. ბალახოვანი მცენარე პატარა ცისფერი ყვავილებით
34. მამათა დიდი მონასტერი
35. ძველოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
36. ჩინური მაფია
37. ველური კომში
38. ხმელეთის ყველაზე დიდი ცხოველი
39. საზღვაო მოგზაურობა
40. ბათუს ცოლი „გამზრდელში“
41. პიპინია ერისთავის ძაღლის სახელი
42. კორეული საბრძოლო ხელოვნება
43. უეცარი შიში
44. ახალი ზელანდიის აბორიგენი
45. შინაური ცხოველი
46. სოფელი ყვარლის რაიონში
47. ჩაცმა-დახურვას გადაყოლილი მამაკაცი
48. მოლდავური, რუმინული და უკრაინული სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი
49. წინასწარმეტყველი ქალი ძვ. საბერძნეთში
50. მდინარე ორამჩირის რაიონში
51. ქართული მხატვრული ფილმი რამაზ ჩხიკვაძის მონაწილეობით
52. აქლემისებრთა ოჯახის ცხოველი
53. საჯდომი ნერვის ანთება
54. მზის შუქი, რაიმეზე დამდგარი
55. უმაღლესი დიპლომატიური რანგი
56. სოფელი მესტიის რაიონში
57. ქართული უზენაესი წარმართული ღვთაება
58. ზღაარული შინაარსის იგავი
59. საყანედ გაკაფული ტყე
60. ქიმიური ელემენტი, აირი
61. დროის დიდი მონაკვეთი, ეპოქა
62. ისტ. მხარე ...-კლარჯეთი
63. მცენარე მაგარნა-ჭუჭიანი ნაყოფით
64. ლეგენდარ. ინგლისელი ფეხბურთელი ... შირერი
65. საფქვილე ყუთი წისქვილში
66. ბოთლში „მცხოვრები“ არსება
67. ფშაველთა მთავარი სალოცავი
68. მეტყვ. რიტმულ-მელოდიური წყობა
69. აღმოსავლური ხორციანი კერძი
70. ნაბიჯი კლასიკურ ცეკვაში
71. ბევრ ცხიმში შემწვარი თევზი
72. ხასიათი, ზნე
73. სამხრეთ ამერიკული ტელესერიალი „მემკვიდრე ...“
74. განგსტერი ... კაპონე
75. ქვეყნის ნაწილი
76. ტროპიკული ხვიარა მცენარე
77. ქალაქი ისრაელში
78. თამროს მამა ილიას „გლახის ნაამბობში“
79. მუსიკალური გამის I ნოტი
80. ფანდი, ხრიკი
81. ფრანგ მეფეთა სახელი
82. აღტაცების გამომხატველი შეძახილი იაპონიაში

მძარცველმა მსხვერპლს უჩივლა

ჩინეთში, ქალაქ დუნგუანში ქურდი, საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებების გამო, საკმაოდ გულუხვად დასაჩუქრდა. მას დაახლოებით 500-დოლარიანი მობილური ტელეფონის მოპარვა სურდა, მგრამ სასამართლოს შედეგად, 11 ათასი დოლარი მოიგო. როგორც ჩინელი სამართალდამცავები აცხადებენ, მამაკაცი შეეცადა სმარტფონის მოპარვას, რომლის პატრონიც იმ მომენტისთვის მეგობრებთან ერთად იმყოფოდა. ქურდს არ გაუმართლა, ფაქტზე წაასწრეს. ტელეფონის პატრონს, რასაკვირველია, არ მოეწონა ეს ამბავი და მეგობრებთან ერთად დამნაშავეს გამოეკიდა, დაიჭირა და სცემა. ქურდი მარცხს არ შეეგუა, მეორე დღეს პოლიციაში წავიდა და მჩაგვრელებს უჩივლა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მისი მცდელობა წარმატებით დასრულდა. სმარტფონის პატრონი და მისი მეგობრები სასამართლოში დაიბარეს, სადაც მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ „ზედმეტი მოუვიდათ“ — განაჩენის მიხედვით, ნაცემ ქურდს, ფიზიკური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, კომპენსაცია 11 ათასი დოლარი უნდა გადაუხადონ.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.